დამტკიცებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2019 წლის 17 დეკემბრის №119/1 დადგენილებით

რეგისტრაციის №________________ მიღების თარიღი: _________/__________/____________

# კონსტიტუციური სარჩელის სააპლიკაციო ფორმა

კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების, საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე შესაბამის ორგანოთა მიერ მიღებული/გამოცემული ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

ფორმის შევსების დეტალური ინსტრუქცია და რჩევები შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე www.constcourt.ge. ფორმის თაობაზე, კითხვების ან/და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ https://www.constcourt.ge/ka/contact.

## I
## ფორმალური ნაწილი

### 1. მოსარჩელე/მოსარჩელეები *შენიშვნა* [1]

| | | |
|---|---|---|
| 1. საქართველოს პრეზიდენტი, ს/კ 204455446 | 1. | 1. |
| სახელი გვარი/დასახელება | ელექტრონული ფოსტა | ტელეფონის ნომერი |

| | |
|---|---|
| მისამართი | 1. |

### 2. მოსარჩელის წარმომადგენელი/წარმომადგენლები *შენიშვნა* [2]

| | | |
|---|---|---|
| 1. ზურაბ მაჭარაძე<br>2. კახი სამხარაძე | 1.<br>2. | 1.<br>2. |
| სახელი გვარი/დასახელება | პირადი/საიდენტიფიკაციო № | ტელეფონის ნომერი |

| | |
|---|---|
| 1. | 1.<br>2. |
| ელექტრონული ფოსტა | მისამართი |

[1] თუ მოსარჩელეთა რაოდენობა არის ორი ან ორზე მეტი, თითოეული მოსარჩელის მონაცემები შეიყვანეთ თანმიმდევრულად და გამოიყენეთ ნუმერაცია. სარჩელიდან ცხადად უნდა ირკვეოდეს, რომელ მოსარჩელეს უკავშირდება ამ ველში შეყვანილი მონაცემი.

[2] კონსტიტუციურ სარჩელს უნდა ერთვოდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ წარმომადგენლების რაოდენობა არის ორი ან ორზე მეტი, იმოქმედეთ N1 შენიშვნის შესაბამისად.

## 3. სადავო სამართლებრივი აქტ(ებ)ი. *შენიშვნა*[3]

| | |
|---|---|
| აქტის დასახელება | 1. ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი |
| მიღების თარიღი | 1. 28/05/2024 |
| მოპასუხის დასახელება | 1. საქართველოს პარლამენტი |
| მოპასუხის მისამართი | 1. თბილისი, რუსთაველის გამზირი N8 |

## 4. მიუთითეთ სადავო ნორმა/ნორმები, აგრეთვე, მათ გასწვრივ კონსტიტუციური დებულება/დებულებები, რომლებთან მიმართებითაც ითხოვთ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. *შენიშვნა*[4]

| სადავო ნორმატიული აქტი (ნორმა) | საქართველოს კონსტიტუციის დებულება |
|---|---|
| „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი<br><br>მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო<br>1. ეს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აწესრიგებს სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციასა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.<br><br>2. ეს კანონი არ ზღუდავს მის საფუძველზე უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას.<br><br>მუხლი 2. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია<br><br>1. ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია არის: | მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია<br>კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. |

[3] მიუთითეთ ნორმატიული აქტის დასახელება, რომელიც შეიცავს, ადგენს სადავო ნორმებს. მიუთითეთ, ამ ნორმატიული აქტის მიმღების/გამომცემის დასახელება და მიღების/გამოცემის თარიღი. რამდენიმე ნორმატიული აქტის დამატების შემთხვევაში, გამოიყენეთ ნუმერაცია.

[4] გთხოვთ, ჩამოაყალიბოთ სასარჩელო მოთხოვნის ფორმალური მხარე. კერძოდ, რომელ სადავო ნორმას საქართველოს კონსტიტუციის რომელ მუხლთან, პუნქტთან, ქვეპუნქტთან ან/და წინადადებასთან ხდით სადავოდ. მიუთითეთ, კონკრეტული სადავო ნორმა (ნორმატიული აქტის სადავო შინაარსობრივი ნაწილის იდენტიფიკაციის საშუალებები მაგ. მუხლი, პუნქტი/ნაწილი, ქვეპუნქტი, წინადადება და ა.შ) და მის გასწვრივ საქართველოს კონსტიტუციის ის დებულება, რომლის მიმართაც ითხოვთ აღნიშნული სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. თუ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობიდან გამომდინარე ფორმაში მოცემული სივრცე არ იქნება საკმარისი, ფორმა იძლევა ველების დამატების შესაძლებლობას. თუ ტექნიკურად ვერ ახერხებთ ახალი ველების დამატებას, ბოლო ველში შეგიძლიათ მიუთითოთ ერთზე მეტი სადავო ნორმა და კონსტიტუციის დებულება. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, გამოიყენეთ ნუმერაცია იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სასარჩელო მოთხოვნის ცხადად იდენტიფიცირება.

| | |
|---|---|
| ა) ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br><br>ბ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br><br>გ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br><br>დ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.<br><br>2. ამ მუხლის მიზნებისთვის შემოსავალი არის ფულადი თანხა ან ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთე (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთი). იმ შემოსავლის ღირებულება, რომელიც არ არის ფულადი თანხა, ამ მუხლის მიზნებისთვის მისი საბაზრო ფასით გამოითვლება.<br><br>3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებულმა შესაბამისმა სუბიექტმა მიიღო შემოსავალი, თუ მას გადაეცა ფულადი თანხა ან იგი გახდა ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთის) მესაკუთრე ან მოსარგებლე.<br><br>4. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლის წყარო უცხოური ძალაა, თუ:<br><br>ა) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;<br><br>ბ) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო იმ იურიდიული პირისგან, რომელმაც შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;<br><br>გ) აღნიშნული შემოსავლის წყარო იდენტიფიცირებული არ არის.<br><br>მუხლი 3. უცხოური ძალა | |

| | |
|---|---|
| ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალა არის:<br><br>ა) უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტი;<br><br>ბ) ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;<br><br>გ) იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არ არის დაფუძნებული;<br><br>დ) ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვა სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის ისეთი გაერთიანება, რომელიც უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა დაფუძნებული.<br><br>მუხლი 4. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია<br><br>1. სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია მის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების წლის მომდევნო კალენდარული წლის იანვარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამ შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია 2 სამუშაო დღეში უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის სათანადო ვებგვერდზე იმგვარი დაშვება, რომ მან შეძლოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის (შემდგომ – განაცხადი) ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შევსება და სააგენტოსთვის წარდგენა.<br><br>2. სუბიექტი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სათანადო ვებგვერდზე დაშვებიდან 10 სამუშაო დღეში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.<br><br>3. განაცხადის ავტორი ვალდებულია განაცხადში, რომელიც იმავდროულად მისი საფინანსო დეკლარაციაა, ასახოს შემდეგი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში):<br><br>ა) განაცხადის ავტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები;<br><br>ბ) განაცხადის ავტორის ადგილსამყოფლის მისამართი;<br><br>გ) განაცხადის ავტორის ვებგვერდის მისამართი;<br><br>დ) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ; | |

ე) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ;

ვ) განაცხადის შევსების თარიღი.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განაცხადის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და განაცხადი სწორად და სრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო ვალდებულია მისთვის განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში. თუ განაცხადი არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო განაცხადის ავტორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. განაცხადის ავტორი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, სააგენტო ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში.

5. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში აღრიცხვისთვის საფასური არ გადაიხდევინება.

6. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების წესებს, აგრეთვე განაცხადის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 5. განაცხადის, სხვა სათანადო დოკუმენტებისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის საჯაროობის უზრუნველყოფა

1. განაცხადი და ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება საჯაროა. სააგენტო ვალდებულია სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთანავე უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის მიერ

სააგენტოსთვის წარდგენილი განაცხადის, ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების, არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე აღნიშნული სუბიექტის მოქმედი წესდების, სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და საჯარო რეესტრიდან ამ სუბიექტის შესახებ ბოლო ამონაწერის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

2. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში შეტანილი ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს მისი სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

მუხლი 6. ყოველწლიური საფინანსო დეკლარაცია

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის წლის ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია. ამ სუბიექტმა აღნიშნულ საფინანსო დეკლარაციაში სწორად და სრულყოფილად უნდა ასახოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში) მისი სააგენტოსთვის წარდგენის წლის წინა წლის მდგომარეობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს საფინანსო დეკლარაცია. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ აღნიშნული საფინანსო დეკლარაცია არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო მის წარმდგენ სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაცია და მასში ასახული ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის წარდგენის წესს, აგრეთვე აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 7. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმება

| | |
|---|---|
| 1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებულ სუბიექტს, რომელიც, წინა კალენდარული წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აღარ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, უფლება აქვს, ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენისას დასაბუთებული წერილობითი განცხადებით, მატერიალური ფორმით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოსთხოვოს მისი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმება. ამ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი აღნიშნული საკითხის სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე 30 სამუშაო დღეში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.<br><br>2. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია ეს სუბიექტი დაუყოვნებლივ ამორიცხოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრიდან და სათანადო ვებგვერდიდან წაშალოს აღნიშნულ სუბიექტთან დაკავშირებით ამ კანონის შესაბამისად მანამდე გასაჯაროებული ინფორმაცია და დოკუმენტები.<br><br>3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საჯაროა და სათანადო ვებგვერდზე ქვეყნდება.<br><br>4. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.<br><br>მუხლი 8. მონიტორინგი<br><br>1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი – საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა.<br><br>2. მონიტორინგის დაწყების საფუძველია:<br><br>ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება;<br><br>ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც შეიცავს უცხოური ძალის | |

ინტერესების გამტარებელ კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას.

3. მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.

4. ერთი და იმავე სუბიექტის მიმართ მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 6 თვეში ერთხელ.

5. თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სუბიექტი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ მან უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციას თავი აარიდა, სააგენტო აღნიშნულ სუბიექტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე არეგისტრირებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია ამ სუბიექტს არ ათავისუფლებს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან. ამ შემთხვევაში აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.

6. მონიტორინგის წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა და სამართალწარმოების საკითხები

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთვის თავის არიდება ან ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის იმავე მუხლით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 25 000 ლარის ოდენობით.

2. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობა, ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით ან მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობა ან ამ კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განაცხადის შევსებისა და წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გაგრძელება იმავე ქმედების ჩადენისთვის ბოლოს დადებული ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 თვის განმავლობაში –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის მის მიერ ამ კანონის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს ადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი. აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სხვა სათანადო საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესაბამისი სუბიექტისთვის დაკისრება არ ათავისუფლებს მას ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებისაგან.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში.

8. ამ კანონის საფუძველზე ან/და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

1. ამ პუნქტის ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში:

ა) შესაბამისმა ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა მიიღონ/გამოსცენ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტები და უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სააგენტომ განახორციელონ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო წინასწარი მატერიალურ-ტექნიკური და სხვა ღონისძიებები.

2. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი, რომელიც, 2023 წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აკმაყოფილებს იმავე მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია ამ პუნქტის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამის შემდეგ ხორციელდება ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროცედურები.

| | |
|---|---|
| მუხლი 11. კანონის ამოქმედება<br><br>1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–მე-9 მუხლებისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.<br><br>2. ამ კანონის პირველი–მე-9 მუხლები და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.“. | |
| „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტები:<br><br>,,1. ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია არის:<br><br>ა) ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br><br>ბ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br><br>გ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br><br>დ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.“ | მუხლი 22. გაერთიანების თავისუფლება<br><br>1. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია.<br><br>2. გაერთიანების ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ამავე გაერთიანების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. |

„4. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლის წყარო უცხოური ძალაა, თუ:

ა) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;

ბ) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო იმ იურიდიული პირისგან, რომელმაც შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;

გ) აღნიშნული შემოსავლის წყარო იდენტიფიცირებული არ არის.''

„უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე პუნქტები:

„1. სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია მის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების წლის მომდევნო კალენდარული წლის იანვარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამ შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია 2 სამუშაო დღეში უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის სათანადო ვებგვერდზე იმგვარი დაშვება, რომ მან შეძლოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის (შემდგომ – განაცხადი) ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შევსება და სააგენტოსთვის წარდგენა.

2. სუბიექტი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სათანადო ვებგვერდზე დაშვებიდან 10 სამუშაო დღეში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.

3. განაცხადის ავტორი ვალდებულია განაცხადში, რომელიც იმავდროულად მისი საფინანსო დეკლარაციაა, ასახოს შემდეგი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში):

ა) განაცხადის ავტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

| | |
|---|---|
| ბ) განაცხადის ავტორის ადგილსამყოფლის მისამართი;<br><br>გ) განაცხადის ავტორის ვებგვერდის მისამართი;<br><br>დ) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ;<br><br>ე) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ;<br><br>ვ) განაცხადის შევსების თარიღი.<br><br>4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განაცხადის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და განაცხადი სწორად და სრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო ვალდებულია მისთვის განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში. თუ განაცხადი არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო განაცხადის ავტორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. განაცხადის ავტორი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, სააგენტო ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი | |

უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში.“

„უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი

,,მუხლი 5. განაცხადის, სხვა სათანადო დოკუმენტებისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის საჯაროობის უზრუნველყოფა

1. განაცხადი და ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება საჯაროა. სააგენტო ვალდებულია სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთანავე უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი განაცხადის, ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების, არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე აღნიშნული სუბიექტის მოქმედი წესდების, სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და საჯარო რეესტრიდან ამ სუბიექტის შესახებ ბოლო ამონაწერის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

2. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში შეტანილი ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს მისი სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.’’

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები;

„1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის წლის ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია. ამ სუბიექტმა აღნიშნულ საფინანსო დეკლარაციაში სწორად და სრულყოფილად უნდა ასახოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში) მისი სააგენტოსთვის წარდგენის წლის წინა წლის „უცხოური გავლენის გამჭირვალეობის შესახებ“ მდგომარეობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს საფინანსო დეკლარაცია. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით

| | |
|---|---|
| გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ აღნიშნული საფინანსო დეკლარაცია არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო მის წარმდგენ სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.<br><br>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაცია და მასში ასახული ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.“<br><br>„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მესამე და მეოთხე წინადადებები;<br><br>,,ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.“<br><br>„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტები:<br><br>,,1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს | |

| | |
|---|---|
| განახორციელოს მონიტორინგი – საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა.<br><br>2. მონიტორინგის დაწყების საფუძველია:<br><br>ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება;<br><br>ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც შეიცავს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას.<br><br>3. მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.<br><br>4. ერთი და იმავე სუბიექტის მიმართ მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 6 თვეში ერთხელ.<br><br>5. თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სუბიექტი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ მან უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციას თავი აარიდა, სააგენტო აღნიშნულ სუბიექტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე არეგისტრირებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია ამ სუბიექტს არ ათავისუფლებს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან. ამ შემთხვევაში აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.“ | |

| | |
|---|---|
| „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტები:<br><br>„1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთვის თავის არიდება ან ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის იმავე მუხლით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 25 000 ლარის ოდენობით.<br><br>2. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობა, ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით ან მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობა ან ამ კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განაცხადის შევსებისა და წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.<br><br>3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გაგრძელება იმავე ქმედების ჩადენისთვის ბოლოს დადებული ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 თვის განმავლობაში –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.<br><br>4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის მის მიერ ამ კანონის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.“<br><br>„უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი:<br><br>,,2. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი, რომელიც, 2023 წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აკმაყოფილებს იმავე მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია ამ პუნქტის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამის შემდეგ ხორციელდება ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროცედურები.“ | |

| | |
|---|---|
| „უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი:<br><br>,,2. ამ კანონის პირველი–მე-9 მუხლები და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.“ | |
| „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2-მე-4 წინადადება:<br><br>,,ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და განაცხადი სწორად და სრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო ვალდებულია მისთვის განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში.“<br><br>„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი:<br><br>,,მუხლი 6. ყოველწლიური საფინანსო დეკლარაცია<br><br>1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის წლის ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია. ამ სუბიექტმა აღნიშნულ საფინანსო დეკლარაციაში სწორად და სრულყოფილად უნდა ასახოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში) მისი სააგენტოსთვის წარდგენის წლის წინა წლის მდგომარეობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში | მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები<br><br>1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.<br><br>2. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. |

| | |
|---|---|
| გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს საფინანსო დეკლარაცია. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ აღნიშნული საფინანსო დეკლარაცია არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო მის წარმდგენ სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.<br><br>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაცია და მასში ასახული ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.<br><br>3. ამ მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის წარდგენის წესს, აგრეთვე აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.“<br><br>„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მე-2-4 წინადადება:<br><br>,,ამ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი აღნიშნული საკითხის სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე 30 სამუშაო დღეში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია | |

დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.“

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი-მე-5 პუნქტები:

„1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი – საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა.

2. მონიტორინგის დაწყების საფუძველია:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც შეიცავს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას.

3. მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.

4. ერთი და იმავე სუბიექტის მიმართ მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 6 თვეში ერთხელ.

5. თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სუბიექტი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ მან უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციას თავი აარიდა, სააგენტო აღნიშნულ სუბიექტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე არეგისტრირებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად. უცხოური ძალის ინტერესების

| | |
|---|---|
| გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია ამ სუბიექტს არ ათავისუფლებს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან. ამ შემთხვევაში აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.“<br><br>„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები:<br><br>„4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის მის მიერ ამ კანონის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა –<br><br>გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.<br><br>5. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს ადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი. აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სხვა სათანადო საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.<br><br>6. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესაბამისი სუბიექტისთვის დაკისრება არ ათავისუფლებს მას ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებისაგან.“ | |
| ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები:<br><br>,,1. ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია არის:<br><br>ბ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br><br>გ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას და რომლის მიერ | მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები<br><br>1. აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.<br><br>2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. |

| | |
|---|---|
| კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br><br>დ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.“<br><br>,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები:<br><br>,,სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია მის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების წლის მომდევნო კალენდარული წლის იანვარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე.“<br><br>2. სუბიექტი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სათანადო ვებგვერდზე დაშვებიდან 10 სამუშაო დღეში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.<br><br>3. განაცხადის ავტორი ვალდებულია განაცხადში, რომელიც იმავდროულად მისი საფინანსო დეკლარაციაა, ასახოს შემდეგი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში):<br><br>ა) განაცხადის ავტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები;<br><br>ბ) განაცხადის ავტორის ადგილსამყოფლის მისამართი;<br><br>გ) განაცხადის ავტორის ვებგვერდის მისამართი;<br><br>დ) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და | 3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. |

| | |
|---|---|
| ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ;<br><br>ე) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ;<br><br>ვ) განაცხადის შევსების თარიღი.<br><br>4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განაცხადის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და განაცხადი სწორად და სრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო ვალდებულია მისთვის განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში. თუ განაცხადი არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო განაცხადის ავტორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. განაცხადის ავტორი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, სააგენტო ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში."<br><br>,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი: | |

| | |
|---|---|
| ,,2. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი, რომელიც, 2023 წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აკმაყოფილებს იმავე მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია ამ პუნქტის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამის შემდეგ ხორციელდება ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროცედურები.“<br><br>,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი:<br><br>,,1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის წლის ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია. ამ სუბიექტმა აღნიშნულ საფინანსო დეკლარაციაში სწორად და სრულყოფილად უნდა ასახოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში) მისი სააგენტოსთვის წარდგენის წლის წინა წლის მდგომარეობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს საფინანსო დეკლარაცია. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ აღნიშნული საფინანსო დეკლარაცია არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო მის წარმდგენ სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო | |

| | |
|---|---|
| დღის ვადას განუსაზღვრავს. აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი“. | |
| ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი:<br>„1. ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია არის:<br>ა) ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br>ბ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br>გ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;<br>დ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.“ | მუხლი 12. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება<br>ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. |

| | |
|---|---|
| „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება:<br><br>,,სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია მის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების წლის მომდევნო კალენდარული წლის იანვარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე.“<br><br>„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისობა:<br><br>,,2. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი, რომელიც, 2023 წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აკმაყოფილებს იმავე მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია ამ პუნქტის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამის შემდეგ ხორციელდება ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროცედურები.“ | კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადება<br><br>კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს. |

5. მიუთითეთ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც უფლებას განიჭებთ, მიმართოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და იმავე კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი, 31 მუხლი და 31[1] მუხლი.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხზე; ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციური სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა თანახელმოწერას არ საჭიროებს.
ამასთან, ,,საკონსტიტუციო სასამრთლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები.“ ამავე კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების, საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებამდე შესაბამის ორგანოთა მიერ მიღებული/გამოცემული ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს.

## II
## კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობა, მოთხოვნის არსი და დასაბუთება

1. განმარტებები კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით. *შენიშვნა*[5]

არ არსებობს საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად არ მიღების კონსტიტუციური სარჩელი ფორმით და შინაარსით შეესაბამება „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის კანონის 31-ე და 31[1] მუხლით მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

კონსტიტუციური სარჩელი ხელმოწერილია მოსარჩელის მიერ და მასში აღნიშნულია ამავე კანონის 31[1] მუხლით გათვალისწინებული მითითებები;

კონსტიტუციური სარჩელი შეტანილია უფლებამოსილი სუბიექტის - საქართველოს პრეზიდენტის მიერ;

კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი საკითხი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის მიხედვით არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;

ამავდროულად, სარჩელში მითითებული არცერთი სადავო საკითხი ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ;

კანონმდებლობა კონკრეტულ შემთხვევაში არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადას სარჩელის წარსადგენად;

სადავო აქტი საკანონმდებლო აქტია და მის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შესაძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის;

[5] „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 31[3] მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციურის წარდგინების არსებითად განსახილველად მიუღებლობის საფუძვლებს. გთხოვთ, წარმოადგინოთ დასაბუთება აღნიშნული საფუძვლების არარსებობის შესახებ.

## 2. კონსტიტუციური სარჩელის არსი და დასაბუთება *შენიშვნა*[6]

1. **სადავო კანონის (,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი) კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლთან მიმართებით**

2024 წლის 03 აპრილს საქართველოს პარლამენტის ფრაქცია ,,ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს პარლამენტში წარმოადგინა საკანონმდებლო ინიციატივა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი პროექტი (რეგისტრაციის № 07-3/433/10).[7]

აღნიშნული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით მიღებულ იქნა და საქართველოს პრეზიდენტს ხელმოსაწერად გამოეგზავნა 2024 წლის 14 მაისს, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა 2024 წლის 18 მაისს საქართველოს პარლამენტს წარუდგინა მოტივირებული შენიშვნები სადავო კანონთან დაკავშირებით.[8] 2024 წლის 28 მაისს საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები და მიიღო კანონის თავდაპირველი ვერსია, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა და კანონის საბოლოო რედაქციას ხელი მოაწერა და გამოაქვეყნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

სადავო კანონით დგინდება ე. წ. ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად“ სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციასა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. კანონი მიემართება ყველა მედია და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლის შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა და ამავდროულად აღნიშნული ორგანიზაციები რეგისტრაციის ვალდებულების ფარგლებში ფაქტობრივად ექცევიან ,,უცხოური ძალისა“ და ,,უცხო ქვეყნის აგენტის“ სტიგმისა და იარლიყის ქვეშ. გარდა ამისა, აღნიშნული კანონით ხდება ჩარევა პირადი ცხოვრების ძირითად უფლებაში და განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჩარევის ფარგლებში ექცევა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემებიც. მთლიანობაში კანონით წესდება გაერთიანების თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და დგინდება დისკრიმინაციული მოპყრობა იმ იურიდიული პირების მიმართ, რომლებსაც შეეხება სადავო კანონი.

,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი არსობრივად და ფუნქციონალურად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს. საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით დადგენილია, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია არის სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მიზანი. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა ადგენს: „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.“

---

[6] გთხოვთ, წარმოადგინოთ დასაბუთება სადავო ნორმის (ნორმების) საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებასთან მიმართებით არაკონსტიტუციურობის თაობაზე. თუ სადავო ნორმის (ნორმების) კონსტიტუციურობის შემოწმებას საქართველოს კონსტიტუციის რამდენიმე მუხლთან ითხოვთ, გთხოვთ, ცალ–ცალკე წარმოადგინოთ დასაბუთება. თუ სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად იშველიებთ ეროვნული, საერთაშორისო ან/და სხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკას ან/და კანონმდებლობას, აგრეთვე სამეცნიერო ან/და ანალიტიკურ ნაშრომებს, გთხოვთ, გააკეთოთ მკაფიო მითითებები შესაბამის წყაროზე მაგ.: დასახელება, პარაგრაფი, მუხლი, გვერდი და ა.შ.

[7] < https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/43088 >;

[8] < https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/361894 >;

საქართველოს კონსტიტუციის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ „კონსტიტუციას 78-ე მუხლის სახით ემატება დროებითი რეგულაცია, რომელიც კონსტიტუციურ ორგანოებს განსაკუთრებულ დავალებას განუსაზღვრავს. კონსტიტუციურ ორგანოებს კონსტიტუცია ავალებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ზომის მიღებას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად."[9]

საქართველოს კონსტიტუციის ,,78-ე მუხლი არ შეიცავს მხოლოდ დეკლარაციული დატვირთვის მქონე ნორმას, არამედ მან ქმედითი სამართლებრივი დატვირთვა შეიძლება შეიძინოს."[10] ,,ევროკავშირში და ნატოში საქართველოს ინტეგრაცია კონსტიტუციურ ამოცანად ორი მიზეზით განისაზღვრა: ა) მას მყარად უჭერს მხარს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა (ნატოში ინტეგრაციის მიმართ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა 2008 წლის პლებისციტითაც დაფიქსირდა, სადაც ნატოში გაწევრიანებას ამომრჩეველთა 77%-მა დაუჭირა მხარი), ბ) იგი ხალხისა და ქვეყნის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ უპირველეს ყოვლისა, ღირებულებითი და ცივილიზაციური არჩევანია. ამ საფუძვლით, კონსტიტუციურმა კანონმდებელმა დასავლური ინტეგრაცია საკონსტიტუციო მნიშვნელობის პროცესად მიიჩნია."[11]

კონსტიტუციის 78-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მწირია. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ 2023 წლის 16 ოქტომბრის N3/1/1797 დასკვნის 59-ე პარაგრაფში დაადგინა: „საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შორის, შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ვინაიდან მის მისაღწევად ყველა ზომის მიღება კონსტიტუციური ვალდებულების რანგში არის აყვანილი" (78-ე მუხლი). საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის ამომწურავი და ფუნდამენტური განმარტება, მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არ მოიპოვება, თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებულ დასკვნაში (N3/1/1797) გარკვეულწილად საკონსტიტუციო სასამართლომ მსჯელობისას შეაფასა აღნიშნული კონსტიტუციური დებულება და მიუთითა, რომ ,,ეს მუხლი [78-ე მუხლი] მხოლოდ ავალდებულებს კონსტიტუციურ ორგანოებს ,,თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში" ყველა ზომა მიიღონ ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად."[12] შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომაც ნათლად განსაზღვრა, რომ ეს მუხლი პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ ორგანიზაციებში გაწევრიანებას და ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს მათი კონსტიტუციური მანდატის ფარგლებში შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზაციას ავალდებულებს.

ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ 78-ე მუხლი მიზნად განსაზღვრავს არა უბრალოდ რაიმე ფორმით ინტეგრაციას, როგორიც შეიძლება იყოს მაგალითად, ევროკავშირში კანდიდატი ქვეყნის ან ასოცირებული ქვეყნის სტატუსი, არამედ იგი ადგენს სრულ ინტეგრაციას, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს აღნიშნული ორგანიზაციის სრულფასოვან წევრობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს, ევალება გამოიყენოს განმარტების ყველა რესურსი. კონსტიტუციის 78-ე მუხლის შინაარსისა და

[9] < https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/152295 >;

[10] კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, მესამე გამოცემა თბილისი, 2023, 43;

[11] იქვე, 43;

[12] < https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=15923 >;

ფარგლების განმარტებისათვის, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: უშუალოდ ნორმის ტექსტი, მასში გამოყენებული ტერმინების კონკრეტიზაციის ხარისხი, მისი ადგილი კონსტიტუციაში და მიზნობრიობა.

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებას წარმოადგენს ევროკავშირში ინტეგრაცია, რაც კონსტიტუციაში გამოხატულია სიტყვით ,,უზრუნველყოფა". აღნიშნული თავისი არსით გულისხმობს, რომ სახელმწიფო ყველა მისი კონსტიტუციური ორგანოს ჩართულობით და პროაქტიული მოქმედებებით უნდა უზრუნველყოფდეს და ქმნიდეს სათანადო გარანტიებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში იმისათვის, რაც აუცილებელია ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისათვის. კონსტიტუციურ ორგანოებში მოიაზრება ნებისმიერი კონსტიტუციური ინსტიტუტი: იქნება ეს საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, სახალხო დამცველი თუ საკონსტიტუციო სასამართლო და ა.შ. აღნიშნული ორგანოებიდან განსაკუთრებული როლი მოცემული კონსტიტუციური დავის ფარგლებში, ბუნებრივია, გააჩნია საკონსტიტუციო სასამართლოს. სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუტის ფუნქციაში შედის არაკონსტიტუციურად ცნოს ყველა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის 78-ე მუხლს და საფრთხეს უქმნის და ხელს უშლის საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

თავის მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით განსაზღვრულია უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური მიზანი, რომელიც საფუძველშივე უკავშირდება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად პრინციპებს, ზოგადევროპულ და ევროატლანტიკურ ღირებულებებს, ფასეულობებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. აღნიშნული კონსტიტუციური დებულების შინაარსი გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია. იმ მიზნით, რომ პირებმა სრულფასოვნად ისარგებლონ ისარგებლონ იმ სიკეთეებით, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს იმ ტიპის სტანდარტით, როგორც ეს გარანტირებულია ევროპულ თუ ევროატლანტიკურ ორგანიზაციების წევრ სახელმწიფოებში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად, დაცულია და განმტკიცებულია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, რაც ქმნის იმ ზოგად ჩარჩოს, რომელ ფასეულობებსაც ეფუძნება საერთო ევროპული და ევროატლანტიკური ღირებულებები. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ის ღირებულებები, რომლებზეც არის დაფუძნებული ორგანიზაცია, კერძოდ: ადამიანის ღირსების პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, სამართლის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, პლურალიზმი, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, შემწყნარებლობა, სამართლიანობა, სოლიდარობა, თანასწორობა. თავის მხრივ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. იგი მკაცრად იცავს და პატივს სცემს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა: წევრი ქვეყნების სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატია, ინდივიდუალური თავისუფლება, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლი განამტკიცებს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპს. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით დადგენილია, რომ საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა. სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლი განამტკიცებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით დადგენილია, რომ საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით ჩამოყალიბებული ეროვნული სახელმწიფოებრივი მიზანი და ამოცანა ორგანულ კავშირშია საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს და ძირითად პოსტულატს წარმოადგენს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, რომელსაც ფუნდამენტურად უპირისპირდება სადავო ნორმატიული აქტი. სამართლებრივი უსაფრთხოების ცენტრალური ელემენტია სახელმწიფო აქტების მდგრადობა და მასთან დაკავშირებული ნდობის დაცვა არსებული სამართლებრივი მდგომარეობის ან სამართლებრივი პოზიციისადმი. სამართალმა სტაბილურობა უნდა დაამყაროს და გააძლიეროს. ეს სახეზეა, როდესაც სამართლის ადრესატებს შეუძლიათ თავისი სამართლებრივი მდგომარეობის განჭვრეტა და მისდამი ნდობა. მოქალაქის ნდობის გაცრუება იწვევს მის გაუცხოებასა და ზოგჯერ დაპირისპირებასაც კი სახელმწიფოსა და სამართლისადმი. აქედან გამომდინარე, სწორია მოსაზრება, რომ სამართალს მდგრადობის გარეშე არ შეუძლია სოციალური და სახელმწიფო ცხოვრების მომწესრიგებელი ფაქტორის როლის შესრულება. როგორც დოქტრინაშია ხაზგასმული, მოქალაქისათვის სამართლებრივი უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, ნდობის დაცვას ნიშნავს. სამართლის მდგრადობა და ნდობის დაცვა ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება. მდგრადობა ამლიერებს ინდივიდის ნდობას სახელისუფლებო აქტებისა და მათი სტაბილურობისადმი.

ნდობის დაცვის პრინციპი მოითხოვს ცალკეულ პირთა ნდობის პატივისცემას, გათვალისწინებასა და დაცვას შესაბამისი სამართლებრივი მდგომარეობის მდგრადობისადმი და სახელმწიფო მოქმედებების სანდოობისადმი. ნდობის დაცვა ვიწრო და მკაცრ საზღვრებში აქცევს კონსტიტუციით დაცული სამართლებრივი პოზიციების შემზღუდავ სახელისუფლებო აქტებს. ნდობის დაცვას ასევე მიიჩნევენ ევროპის გაერთიანების სამართლის ერთ-ერთ დაუწერელ პრინციპად.

ნდობის დაცვის პრინციპის მნიშვნელობას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც გამოჰყოფს. ის მას სამართლებრივი ნდობის პრინციპს უწოდებს. ამ პრინციპის მიზანი დანახულია სამართლის მიმართ მოქალაქეთა ნდობის განმტკიცებაში. ამავდროულად, დაცულია მხოლოდ ლეგიტიმური, კანონიერ საფუძველზე დამყარებული მოლოდინი. თუ ეს მოლოდინი გაუმართლებლად და დაუსაბუთებლადაა შეზღუდული, მაშინ ნდობის პრინციპი ირღვევა.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის მხრიდან დაირღვა სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, რადგან ჯერ კიდევ 2023 წლის მარტში არსობრივად და ფუნქციურად იდენტური კანონი (ე.წ.

„აგენტების კანონი“) ქვეყნის შიგნით საყოველთაო სახალხო პროტესტისა და ქვეყნის გარეთ საერთაშორისო პარტნიორების აქტიური მოწოდებების შემდგომ იქნა გაწვეული, ხოლო 2024 წლის აპრილში კვლავინდებურად იქნა ინიცირებული იგივე შინაარსისა და მიზნის კანონი („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“), რაც ბუნებრივია სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან კვლავ გახდა წინააღმდეგობის საგანი. საბოლოოდ კი, აღნიშნული კანონის მიღებით დაირღვა სამართლებრივი ნდობის პრინციპი, რადგან არსებობდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ აღნიშნული კანონი არ იქნებოდა მიღებული, თუმცა, დაპირების მიუხედავად, კანონმდებელმა მაინც მიიღო სადავო საკანონმდებლო აქტი.

გარდა ამისა, სადავო კანონით დგინდება ახალი სამართლებრივი დეფინიციები და ტერმინები, ისეთები როგორიცაა „უცხოური ძალა“ და „უცხოური ძალის გამტარებელი ორგანიზაცია“, რაც თავისი არსით იწვევს სტიგმატიზაციას. ამგვარ იარლიყებს, გარდა იმისა, რომ გაუმართლებელია და ზიანის მომტანია, აქვს ძლიერი შემზღუდველი, მსუსხავი და მასტიგმატიზირებელი ეფექტი მათ საქმიანობაზე. თუმცა, იმ საზოგადოებაში, სადაც ბუნებრივად „აგენტი“/„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია“/სუბიექტი აღიქმება მტრად, აღნიშნული კანონი ქმნის იმ ნორმატიულ საფუძვლებს, რომელიც იწვევს საზოგადოების გაუცხოებას და საბოლოოდ, მოწყვლადს ხდის საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს და აქცევს მათ სახელმწიფოს თვითნებობის ფარგლებში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. აღნიშნულ შემთხვევაში სადავო კანონი უპირისპირდება ევროკავშირში აღიარებულ ფუნდამენტურ სამართლებრივ პრინციპებსა და ნორმებს, რაც დასტურდება როგორც საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების ანალიზით, ისე საერთაშორისო პარტნიორების ცალსახა პოზიციებით, რომელიც გაცხადებულია ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ.
კონსტიტუციის 78-ე მუხლი არის ხელისუფლების მბოჭავი კონსტიტუციური ნორმა ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზების თვალსაზრისით და შესაბამისად, კონსტიტუციით დაცულ მიზანს წარმოადგენს ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა თანხვედრაში მოდიოდეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რადგან ამგვარი ჰარმონიზების გარეშე ვერ იქნება მიღწეული საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია. საქართველო ვალდებულია, შეასრულოს ევროკომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტები, რაც კანდიდატის სტატუსის მიღების ერთ-ერთი წინაპირობა იყო. ვინაიდან 2022 წლის 3 მარტს საქართველომ ოფიციალურად გააკეთა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებაზე,[13] ხოლო 2023 წლის დეკემბრიდან საქათველოს გააჩნია ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანის სტატუსი. შესაბამისად, მხედველობაშია მისაღები ასევე ის სასამართლო პრეცედენტები, რომელიც დამკვიდრებულია ევროკავშირში.

---

[13] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი ვარშავა, 2023 წლის 25 ივლისი აზრი-№: NGO-GEO/465/2023 [JB] „მოსაზრება საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელი აგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან“, 20;

გასათვალისწინებელია ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7[1] მუხლის დათქმა, რომლის თანამხადაც „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმების გამოყენებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები ამ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმების ოფიციალურ განმარტებებად მიიჩნევა და აღნიშნული ნორმების გამომყენებელს შეუძლია ამ განმარტებებს დაეყრდნოს.“[14]

განსაკუთრებით რელევანტური და აქტუალურია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2020 წლის 18 ივნისის პრეცედენტული გადაწყვეტილება ,,კომისია უნგრეთის წინააღმდეგ“ (CJEU, Commission v. Hungary  Case C-78/18, 18 June 2020)[15].

საქმეზე *კომისია უნგრეთის წინააღმდეგ* ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განიხილა უნგრეთის 2017 წლის LXXVI კანონი ,,უცხოეთიდან მხარდაჭერილი ორგანიზაციების გამჭვირვალობის შესახებ“ [2017. évi LXXVI. Törvény ,,a külföldről támogatott szervezetek átláthatóságáról szóló“], რომელიც აკისრებდა რეგისტრაციის, დეკლარაციისა და ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებებს სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული კატეგორიის ორგანიზაციებს (ასოციაცია ან ფონდი), რომლებიც პირდაპირ ან ირიბად იღებდნენ მხარდაჭერას საზღვარგარეთიდან და აღნიშნული დახმარება  აღემატებოდა გარკვეულ ზღვარს  (7,2 მილიონ უნგრულ ფორინტზე მეტს (დაახლოებით 18,000 ევროს)) და რომელიც ითვალისწინებდა ჯარიმების გამოყენების შესაძლებლობას იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც არ ასრულებდნენ ამ ვალდებულებებს. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ უნგრეთმა შემოიღო დისკრიმინაციული და გაუმართლებელი შეზღუდვები უცხოურ შემოწირულობებზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რითიც უნგრეთმა დაარღვია ევროკავშირის ფუნქციონირების ხელშეკრულების (TFEU) 63-ე მუხლით დადგენილი კაპიტალის გადაადგილების თავისუფლების ფარგლებში მისი ვალდებულებები.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 63-ე მუხლით ასევე აკრძალულია,  როგორც ფორმალური, ისევე მატერიალური დისკრიმინაცია.[16] აღნიშნული ნორმატიული დათქმიდან გადახვევა სამართლებრივად შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ ისეთ გარემოებებში, რომლებიც არსებითად განასხვავებს დიფერენცირებულ სუბიექტებს, ან/და იმ შემთხვევაში, როდესაც კაპიტალის გადაადგილება საფრთხეს უქმნის საზოგადოების ძირითად ინტერესებს, მაგალითისათვის, ისეთ შემთხვევებში, როგორიცა ფულის გათეთრება, ტერორიზმი ან ნარკოტიკებით ვაჭრობა.[17]

საქმეში *კომისია უნგრეთის წინააღმდეგ*, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ მიიჩნია, რომ „განსხვავებები მოპყრობაში დამოკიდებულია მოცემული ფინანსური მხარდაჭერის ეროვნულ ან „უცხოურ“ წარმომავლობაზე და, შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს არაპირდაპირ დისკრიმინაციას ეროვნების საფუძველზე [...] იმდენად, რამდენადაც  კანონი ადგენდა განსხვავებულ მოპყრობას არსებითად თანასწორი პირების მიმართ.  მართლმსაჯულების  ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ

[14] < https://matsne.gov.ge/document/view/90052?publication=37 >;

[15]<https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=227569&pageIndex=0&doclang=en&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=1933640&fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR1dWEkkVxYCtBodt7zG58voRKCmaX-nlPfZN11E8Udx3XUlzqybEMp2mF8_aem_AY0F5MkfAX6OXcV_cMiHJ3Oz1RFex422xCcO-iP25Rxp7_BUXNrTMXg59Ous6nXIq7m8RctHrULljWCjeQkrO4c_ >;

[16] იქვე, 232

[17] იქვე 234

„უნგრეთმა დააწესა დისკრიმინაციული, გაუმართლებელი და არასაჭირო შეზღუდვები უცხოურ შემოწირულობებზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის“,[18] რაც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შეფასებით ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული ქარტიის (EU Charter of Fundamental Rights)[19] მე-7 მუხლით განსაზღვრულ პირადი და ოჯახური ცხოვრების თავისუფლებას, ასევე მე-8 მუხლით დაცულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას და მე-12 მუხლით გათვალისწინებულ გაერთიანების თავისუფლებას.

უცხოეთიდან მხარდაჭერის მიმღები ორგანიზაციების გამჭვირვალობის შესახებ უნგრეთის კანონის შეფასების შემდეგ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვდა სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ორგანიზაციებისგან, რომლებიც უცხოეთიდან იღებდნენ მხარდაჭერას გარკვეულ ზღვარს ზემოთ, დარეგისტრირებულიყვნენ, განეცხადებინათ და გამოექვეყნებინათ თავიანთი დაფინანსების წყაროები, და რომელიც, ასევე უშვებდა ჯარიმების დაწესებას შეუსაბამობის შემთხვევაში, დისკრიმინაციული და უსამართლო იყო, რამაც გამოიწვია ევროკავშირის ფუნდამენტური კანონის დარღვევა.[20]

სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების გარდა, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი სისტემურად უნდა განიმარტოს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებულ უფლებებთან ერთობლიობაშიც, იმდენად, რამდენადაც ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაცია შეუძლებელია იმდაგვარი სამართლებრივი ჩარჩოს არსებობის პირობებში, რომლიც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. აღნიშნული სადავო კანონი კი არსებითად არღვევს კონსტიტუციით გამტკიცებულ მთელ რიგ ძირითად უფლებებს. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი ასევე სისტემურად უნდა იქნეს წაკითხული კონსტიტუციის მე-2 თავთან მიმართებითაც.

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით დაცულია ადამიანის ძირითადი უფლებები, რაც თავის მხრივ, საკმარისი საფუძველია საკითხის კონსტიტუციურობის შესაფასებლად. კერძოდ, სადავო საკანონმდებლო აქტი ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით დაცულ თანასწორობის უფლებას, 22-ე მუხლით დაცულ გაერთიანების თავისუფლებას, მე-17 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებას, მე-9 მუხლით დაცულ ღირსების ძირითად უფლებას, მე-15 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების თავისუფლებას, მე-12 მუხლით დაცულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას და 31-ე მუხლით გარანტირებულ უკუძალის აკრძალვის პრინციპს. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებები სისტემურად უნდა იქნეს განხილული საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლთან ერთობლიობაში, თუმცა, ამასთან საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი ქმნის უფრო მეტ რესურსსა და ფართო შესაძლებლობას, რათა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა განვიხილოთ ევროპულ ფასეულობათა დაცულ სისტემაში.

---

[18] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი ვარშავა, 2023 წლის 25 ივლისი აზრი-№: NGO-GEO/465/2023 [JB] ,,მოსაზრება საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელი აგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან“, 30-31;

[19] < https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf >;

[20] 2024 წლის 21 მაისის ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია) -ის სასწრაფო დასკვნა CDL-PI(2024)013 საქართველოს კანონზე ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ პ. 36

ვენეციის კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კანონი [სადავო კანონი], რომელიც მოითხოვს საჯარო ანგარიშგებას უცხოური შემოწირულობების, ასევე საჯარო რეგისტრაციასა თუ იარლიყის მიწებებას, ხელს უშლის ადამიანის რიგი უფლებების განხორციელებას, მათ შორისაა, გაერთიანების თავისუფლების უფლება (ECHR-ის მე-11 მუხლი, ICCPR-ის 22-ე მუხლი), გამოხატვის თავისუფლების უფლება (ECHR-ის მე-10 მუხლი, ICCPR-ის მე-19 მუხლი) და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (ECHR-ის მე-8 მუხლი, ICCPR-ის მე-17 მუხლი), ასევე დისკრიმინაციისგან თავისუფლების უფლება (ECHR-ის მე-14 მუხლი და ECHR-ის მე-12 ოქმი, ICCPR-ის 26-ე მუხლი).[21]

,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განისაზღვრება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი და განისაზღვრება, რომ კანონის ადრესატი იურიდიული სუბიექტები წარმოადგენენ უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციებს. სადავო კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია, რომ მედია ორგანიზაციები (მაუწყებლი, მასობრივი ინფორმაციის საშუალება ან ინტერნეტ პლატფორმა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (გარდა ისეთი ა(ა)იპ-ებისა, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არის დაფუძნებული, ასევე სპორტული ფედერაციებისა და სისხლის დონაციასა და ტრანსფუზიასთან დაკავშირებული ორგანიზაციებისა), რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა, უნდა დარეგისტრირდნენ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად შესაბამის რეესტრში. ამასთან, სადავო კანონის მე-4-მე-6 მუხლებით გათვალისწინებულია, რომ აღნიშნულ რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციის შემდგომ ზემოაღნიშნული სუბიექტები ვალდებულნი არიან წარადგინონ საფინანსო დეკლარაცია და მიუთითონ ინფორმაცია კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ და ასევე კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ. ხოლო იმავე კანონის მე-8 მუხლით დგინდება მსგავსი ორგანიზაციების მიმართ სახელმწიფო მონიტორინგის განხორციელების წესი, რომელიც მონიტორინგის განმახორციელებლ უფლებამოსილი პირის ინიციატივის საფუძველზეც შეიძლება განხორციელდეს. თავის მხრივ მე-9 მუხლით დგინდება მაღალი ფულადი სანქციები იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ გაითვალისწინებენ კანონის მოთხოვნებს.

ყველა ზემოაღნიშნული დებულება არსებითად ეწინააღმდეგება გაერთიანების თავისუფლების დაცვის საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ და ევროკავშირში აღიარებულ სტანდარტებს. სადავო კანონის მე-2 მუხლით ფაქტობრივად მკვიდრდება იარლიყი და დამღა უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის სტატუსის ქვეშ, რაც იწვევს სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრების სტიგმატიზაციას. რეესტრში რეგისტრაციისა და ფინანსური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება, რაც წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლებაში ინტერვენციას, კერძოდ, გაერთიანებების საქმიანობის თავისუფლების პროცესში ჩარევის ფორმით, საბოლოოდ არსებით გავლენას ახდენს ამ ძირითადი უფლების სრულფასოვან რეალიზაციაზე. ამგვარი წესებით რეალურად შეუძლებელი ხდება დაფინანსების მოპოვება არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელთა ძირითადი ფინანსური რესურსი სწორედ უცხოური წყაროა, ხოლო დაფინანსების არარსებობის პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება საქმიანობის განხორციელება. კანონით გათვალისწინებული წესით დადგენილი სახელმწიფო მონიტორინგი წარმოადგენს იმ ინტენსივობის ჩარევას, რომელიც იწვევს ფაქტიურად ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობაში ჩარევას და მის შეფერხებას. ხოლო საბოლოოდ მაღალი

[21] იქვე პ.50

სანქცია, რომელსაც ითვალისწინებს კანონმდებლობა, გამოიწვევს მძიმე მატერიალურ-ფინანსურ ტვირთს, რაც საბოლოოდ ასევე არსებით გავლენას იქონიებს გაერთიანებების ფუნქციონირებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გაერთიანების თავისუფლების უფლება წარმოადგენს დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების ერთ-ერთ არსებით საფუძველს, რამდენადაც ის საშუალებას აძლევს მოქალაქეებს კოლექტიურად იმოქმედონ სხვადასხვა სფეროებში და ამით ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ცხოვრების გამართულ ფუნქციონირებას (ECtHR, 17 February 2004, Gorzelik and Others v. Poland, §§ 88, 90 and 92, and ECtHR, 8 October 2009, Tebieti Mühafize Cemiyyeti and Israfilov v. Azerbaijan, §§ 52 and 53).

გაერთიანების თავისუფლება არ მოიცავს მხოლოდ ასოციაციის შექმნის ან დაშლის შესაძლებლობას, იგი ასევე მოიცავს ამ ასოციაციის შესაძლებლობას, იმოქმედოს, რაც ნიშნავს, რომ მას უნდა შეეძლოს განაგრძოს თავისი საქმიანობა და მოქმედებდეს სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევის გარეშე (ECtHR, 5 October 2006, Moscow Branch of the Salvation Army v. Russia, §§ 73 and 74).

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეუთოს 2023 წლის 25 ივლისის N NGO-GEO/465/2023 [JB] დასკვნაში მითითებულია, რომ ასოციაციების დაფინანსების „გამჭვირვალობის“, „გახსნილობის“ ან „საჯაროობის“ უზრუნველყოფის მიზანი თავისთავად არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, თუმცა შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც ის შეიძლება წარმოადგენდეს ერთი ან ერთზე მეტი ლეგიტიმური მიზნის დევნის საშუალებას, რომლითაც აღიარებულია აღნიშნული უფლების შეზღუდვის დაშვება, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგი ან ისეთი დანაშაულების პრევენცია, როგორიცაა კორუფცია, მითვისება, ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება.[22]

როგორც ODIHR-მა და ვენეციის კომისიამ აღნიშნეს, „აბსტრაქტული „საზოგადოებრივი შეშფოთება“ და „ეჭვები“ არასამთავრობო სექტორის დაფინანსების კანონიერებისა და პატიოსნების შესახებ, არ მიუთითებენ დასაბუთებულ კონკრეტულ რისკზე, რომელიც ეხება არასამთავრობო სექტორის რაიმე კონკრეტულ ჩართულობას. ისეთი დანაშაულების ჩადენა, როგორიცაა კორუფცია ან ფულის გათეთრება. გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ზოგადი ევროპული მიდგომები, რომელიც ევროპული სამართლის ღირებულებათა სისტემას აყალიბებს და რომელსაც პრინციპულად ეწინააღმდეგება სადავო კანონი. კერძოდ 2024 წლის 21 მაისის ვენეციის კომისიის (ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით) CDL-PI(2024)013 სასწრაფო დასკვნაში, რომელიც კომისიამ მოამზადა საქართველოს კანონზე ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, აღნიშნულია, რომ საქმეში „ეკოდაცვა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ[23]“, ECtHR-მა შეაფასა 2012 წლის რუსეთის საგარეო აგენტების შესახებ კანონი და დაადგინა, რომ „უცხოელი აგენტების“ ორგანიზაციების ახალი კატეგორიის შემოღებამ, ასევე მძიმე აუდიტისა და ანგარიშგების ვალდებულებებმა და გადაჭარბებული და

[22] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი ვარშავა, 2023 წლის 25 ივლისი აზრი-№: NGO-GEO/465/2023 [JB] ,,მოსაზრება საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელი აგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან“, 5;

[23] < https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-217751%22]} >;

თვითნებური ჯარიმების დაწესებამ გამოიწვია განმცხადებელი ორგანიზაციების დაქვემდებარება ზომებისადმი, რომლებიც საჭიროდ არ მიიჩნეოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში.[24]

სადავო კანონის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების შესაბამისად, დგინდება, რომ ე. წ. ,,უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ სუბიექტის რეგისტრაციის ან/და გაუქმების პროცესში, ასევე ამ ორგანიზაციის მიერ წარდგენილი დეკლარაციის შემოწმებისა და შესაბამისი ორგანიზაციების მონიტორინგის პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს ენიჭება უფლება, მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. აღნიშნული პერსონალური მონაცემები ზოგადი წესის მიხედვით შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობით, თუმცა მოცემულ შემთხვევაში სადავო კანონი ზოგადი წესიდან საგამონაკლისო დებულებებს ადგენს და სუბიექტის თანხმობისა და სასამართლოს ნებართვის გარეშე, შესაბამისად, ფორმალური კონსტიტუციურ სამართლებრივი საფუძვლების გარეშე პირადი ცხოვრების თავისუფლებაში ჩარევის შესაძლებლობას ითვალისწინებს. აღნიშნული წესი ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ დათქმას, რომელიც გულისხმობს სასამართლო კონტროლს პირადი ცხოვრების თავისუფლებაში ინტერვენციის პროცესში.

გარდა ფორმალურ-კონსტიტუციური დათქმის უგულვებელყოფისა, აღნიშნული ჩარევა ასევე წარმოადგენს გაუმართლებელ ჩარევას მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისითაც. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა პირადი ცხოვრების დაცვის ევროპული სტანდარტები, რომელსაც არსებითად ეწინააღმდეგება სადავო კანონის ზემოაღნიშნული დებულებები.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შეფასებით, „უნგრული კანონის“ დებულებები ზღუდავს პირთა პირადი და ოჯახური ცხოვრების თავისუფლებასაც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, აღნიშნული უფლება აიძულებს საჯარო ხელისუფლებას, თავი შეიკავონ ნებისმიერი გაუმართლებელი ჩარევისგან პირთა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში. ამგვარად, ის აკისრებს ნეგატიურ და უპირობო ვალდებულებას საჯარო ხელისუფლებას (ECtHR, 24 June 2004, Von Hannover v. Germany, § 57, and ECtHR, 20 March 2007, Tysiąc v. Poland, §§ 109 and 110). სასამართლომ დაადგინა, რომ დებულებები, რომლებიც სახელმწიფო/საჯარო ორგანოებს საშუალებას აძლევს ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემები დაამუშაონ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე და შემდგომ გამოიყენონ აღნიშნული მონაცემები, განიხილება როგორც ჩარევა მათ პირად ცხოვრებაში და შესაბამისად, წარმოადგენს ქარტიის მე-7 მუხლით გარანტირებული უფლების შეზღუდვას. სასამართლოს შეფასებით ამგვარ ჩარევას ვერ ექნება პოტენციური გამართლება. (judgments of 20 May 2003, Österreichischer Rundfunk and Others, C-465/00, C-138/01 and C-139/01, EU:C:2003:294, paragraphs 73 to 75 and 87 to 89; of 9 November 2010, Volker und Markus Schecke and Eifert, C-92/09 and C-93/09, EU:C:2010:662, paragraphs 56 to 58 and 64; and of 2 October 2018, Ministerio Fiscal, C-207/16, EU:C:2018:788, paragraphs 48 and 51).

[24] 2024 წლის 21 მაისის ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია) -ის სასწრაფო დასკვნა CDL-PI(2024)013 საქართველოს კანონზე ,, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ პ. 32

რაც შეეხება ევროპული ქარტიის მე-8(1) მუხლით გათვალისწინებული პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას, რომელიც მჭიდრო კავშირშია ქარტიის მე-7 მუხლით გარანტირებულ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან (judgments of 9 November 2010, Volker und Markus Schecke and Eifert, C-92/09 and C-93/09, EU:C:2010:662, paragraph 47, and of 24 November 2011, Asociación Nacional de Establecimientos Financieros de Crédito, C-468/10 and C-469/10, EU:C:2011:777, paragraph 41), თავის მხრივ, გამორიცხავს იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის გავრცელებას მესამე პირებზე, იქნება ეს სახელმწიფო ორგანოები თუ ნებისმიერი სხვა პირი. სასამართლო მიუთითებს, რომ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც გულისხმობს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, უნდა ჩაითვალოს, როგორც ქარტიის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებული პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.

გაერთიანების თავისუფლების შესახებ ODIHR-სა და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელოს თანახმად, „კონფიდენციალურობის უფლება ვრცელდება ასოციაციაზე“ და „კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს გარანტიებს ასოციაციების კლიენტების, წევრებისა და დამფუძნებლების კონფიდენციალურობის უფლების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, ასევე უზრუნველყოს ამ კუთხით ნებისმიერი დარღვევის გამოსწორება“. ნებისმიერი ჩარევისას პირად ცხოვრებასა და კონფიდენციალობის უფლებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპები. გარკვეულ პირობებში, საზოგადოებრივი გაერთიანებების გარკვეული თანამშრომლების გვარების გამჟღავნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მათ უსაფრთხოებას (მაგალითად, მათ, ვინც მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კორუფცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა ან გენდერული, სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია, ორიენტაცია და გენდერული იდენტობა) და შესაძლოა, წარმოადგენდეს მათი შევიწროების რისკს. კონკრეტულად დონორებს რაც შეეხება, ზოგიერთ შემთხვევაში, ასოციაციების დონორებისა და კონტრაქტორების ვინაობის გამჟღავნებამ, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს დონორთა მზადყოფნაზე, გააგრძელონ მხარდაჭერა და თანამშრომლობა ამ ასოციაციებისთვის, თუ ისინი საჯაროდ იქნება გამოვლენილი.[25]

სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით, ვენეციის კომისია და ეუთო მიიჩნევენ, რომ ფიზიკური პირების და სხვა სუბიექტების პერსონალური მონაცემების შეგროვება და რეესტრში გამოქვეყნება წარმოადგენს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას, რაც არ არის გამართლებული, **რადგანაც მას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი.** ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო კანონით ხორციელდება გაუმართლებელი ჩარევა პირადი ცხოვრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის უფლებაში.

,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით დგინდება, რომ კანონის მიზანს წარმოადგენს სუბიექტების უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად რეგისტრაცია, ხოლო მე-2 მუხლი აკონკრეტებს იმ სუბიექტთა წრეს, რომლებიც მოაზრებიან უცხოური ძალის ინტერესების გამტარ ორგანიზაციებად და განისაზღვრება, რომ ყველა

[25] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი ვარშავა, 2023 წლის 25 ივლისი აზრი-№: NGO-GEO/465/2023 [JB] ,,მოსაზრება საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელი აგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან“, 60-61;

პირი, რომელიც წლიური დაფინანსების 20%-ზე მეტს იღებს უცხოური წყაროდან, წარმოადგენს სწორედ ამგვარ ორგანიზაციას. დისკრიმინაციულია მოპყრობა, რომელიც განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს შესადარებელ სუბიექტს დაფინანსების წყაროს მიხედვით.

საქმეში ,,კომისია უნგრეთის წინააღმდეგ“, მართლმსაჯულების სასამართლომ მიიჩნია, რომ „განსხვავებები მოპყრობაში დამოკიდებულია მოცემული ფინანსური მხარდაჭერის ეროვნულ ან „უცხოურ“ წარმომავლობაზე და, შესაბამისად, იმ შემთხვევებში, როდესაც მხარდაჭერის გამცემი ფიზიკური ან იურიდიული პირების მისამართი ან რეგისტრირებული ოფისი დადგენილია, წარმოადგენს არაპირდაპირ დისკრიმინაციას ეროვნების საფუძველზე. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ „უნგრეთმა დააწესა დისკრიმინაციული, გაუმართლებელი და არასაჭირო შეზღუდვები უცხოურ შემოწირულობებზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის“. 2017 წელს უნგრეთის კანონპროექტის განხილვისას ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ბარიერის დადგენა ითვალისწინებს „დიფერენცირებულ მოპყრობას“ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ეყრდნობიან ექსკლუზიურად ადგილობრივ დაფინანსებას და იმ ორგანიზაციებსათვის, რომლებიც ეყრდნობიან უცხოურ დაფინანსებას. როგორც სასამართლომ აღნიშნა, „საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან გამომდინარეობს, რომ დიფერენცირებული მოპყრობა შესაძლებელია ამ შემთხვევაში მხოლოდ და იმდენად, რამდენადაც მოპყრობას გააჩნია ლეგიტიმური მიზნები, მაგ. როგორც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის პრევენცია და მიღწეული ლეგიტიმური მიზნების პროპორციულობა არ სცილდება იმ მიზნების მიღწევისთვის საჭირო ზომებს, რაც მკაცრად არის საჭირო“[26]. აქედან გამომდინარე დიფერენციაციის ნიშანს წარმოადგენს ეროვნული ნიშანი, რაც დისკრიმინაციის კლასიკური ნიშანია. თუმცა **აღნიშნულ შემთხვევაშიც ვერ იკვეთება რაიმე დაუძლეველი საჯარო ლეგიტიმური ინტერესი ან მიზანი, რომელიც ამართლებს ეროვნული ნიშნით დიფერენციაციას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინასების უცხოური და ადგილობრივი წყაროების მიხედვით.**

2023 წლის 25 ივლისის დასკვნაში ეუთო მიუთითებს ასევე დარგობრივ დისკრიმინაციაზეც, და აღნიშნავს, რომ ასოციაციების გარკვეული კატეგორიის დისკრიმინაციული მოპყრობის საკითხი მათი დაფინანსების უცხოური წარმოშობის საფუძველზე ასევე უნდა გაანალიზდეს სექტორული თანასწორობის პერსპექტივიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ზომები, რომლებიც ეხება ასოციაციებს, არ უნდა იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე ის ზომები, რაც ზოგადად გამოიყენება ბიზნესისთვის ან კომერციული სუბიექტებისთვის. როგორც ODIHR-ვენეციის კომისიის გაერთიანების თავისუფლების შესახებ ერთობლივ სახელმძღვანელოშია ხაზგასმული, ასოციაციის რეგისტრაციის პროცესი არ უნდა იყოს უფრო შრომატევადი, ვიდრე სხვა სუბიექტებისთვის შექმნილი პროცესი და მათ არ უნდა მოეთხოვოს მეტი რეპორტების და ინფორმაციის წარდგენა, ვიდრე სხვა იურიდიულ პირებს მოეთხოვებათ, როგორიცაა ბიზნესის სუბიექტები; თანასწორობა სხვადასხვა სექტორს შორის უნდა იქნეს დაცული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო კანონი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს იმდენად, რამდენადაც იგი არ შეესაბამება ადამიანის ფულებათა დაცვის როგორც საქართველოს საკონსტიტუციო ასევე ევროპულ გარანტიებს.

უმნიშვნელოვანესია და საყურადღებო სადავო კანონთან დაკავშირებით ევროინტეგრაციის ის პრაქტიკული განზომილება, რომელიც უშუალოდ უკავშირდება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხს. სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხზე მომზადდა ,,2023 წლის კომუნიკაცია

[26] იქვე, 31;

ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკასთან დაკავშირებით“ (Brussels, 8.11.2023 COM(2023) 690 final) და განისაზღვრა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 9 (ცხრა) ნაბიჯი, რომელთაგან გასაკუთრებით საყურადღებოა მე-9 პრიორიტეტი, რასაც სადავო კანონი არსებითად ეწინააღმდეგება. მე-9 პრიორიტეტად განისაზღვრა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება, მათ შორის, ადამიანის უფლებების ამბიციური სტრატეგიის მიღებითა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. მოწყვლადი ჯგუფების, მედია-პროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიების დაწყება და ძალადობის ორგანიზატორებისა და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მათი თავისუფლად მუშაობის უზრუნველყოფა.[27] გარდა ამისა, სადავო კანონი ირიბად სხვა წინაპირობების შესრულებაზეც ახდენს ნეგატიურ გავლენას, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს საქართველოს ევროკავშირისაგან დეზინტეგრაციას, რითაც ფუნდამენტურად ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

თავის მხრივ, 2024 წლის 21 მაისის დასკვნაში ვენეციის კომისია მიუთითებს, რომ 2023 წელს საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღო და სხვადასხვა დემოკრატიული რეფორმის გატარება თავის თავზე აიღო. ევროკავშირის მიერ განსაზღვრული ორი პრიორიტეტი ეხება „ძალისხმევას თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედია გარემოს უზრუნველყოფისკენ“ და „სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ყველა დონეზე“. როგორც ევროკავშირში წევრობის კანდიდატი ქვეყანა, საქართველომ ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამრიგად, ახალი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში აუცილებელია ევროკავშირის პირველადი კანონმდებლობის, ასევე ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიის გათვალისწინება. ამ თვალსაზრისით აქტუალურია მე-7 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა), მე-8 (პერსონალური მონაცემების დაცვა), მე-11 (გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება), მე-12 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და 21-ე (არა დისკრიმინაცია) მუხლები.[28]

კონსტიტუციის 78-ე მუხლი ცალსახად და არაორაზროვნად განსაზღვრავს ორ კონკრეტულ მოცემულობას: 1. საგარეო პოლიტიკურ მიზანს, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს (ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაცია); 2. აწესებს და განსაზღვრავს ამ პროცესში ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებას.

სწორედ აღნიშნული დებულების ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება ინფორმაცია, იმის შესახებ თუ როგორია კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მათ შორის, ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან, კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ

---

[27] < https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/cc71d42b-6c07-4deb-9069-5ca2082d166d_en?filename=COM_2023_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy_and_Annex.pdf >;

[28] 2024 წლის 21 მაისის ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია) -ის სასწრაფო დასკვნა CDL-PI(2024)013 საქართველოს კანონზე ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ პ. 36

ვალდებულებებთან და კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან.
თუმცა, მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებისა, პრაქტიკული თვალსაზრისით ფაქტობრივად უგულებელყოფილია ორგანული კანონით დადგენილი ვალდებულება, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს კონსტიტუციიდან. სადავო კანონის განმარტებით ბარათში მხოლოდ თითო წინადადებით არის მითითება, რომ კანონი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს, კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.[29] მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ყველაზე მეტად სადავო თემა სწორედ ამ საკითხებს უკავშირდება სადავო საკანონმდებლო აქტის პროექტში, აღნიშნული საკითხებზე მსჯელობა უგულებელყოფილია და ამ მხრივადაც კანონი სრულიად დაუსაბუთებელია.

საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ის მოცემულობა, რომ სადავო ნორმატიული აქტი საფუძველს აცლის საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ევროკავშირის ძირითადი სტრუქტურები და უმაღლესი თანამდებობის პირები, ისევე, როგორც ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის უმაღლესი თანამდებობის პირები, ხაზგასმით მიუთითებენ პარლამენტის მიერ მიღებული სადავო კანონის მოქმედებისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტიტუტებში საქართველოს ინტეგრაციის შეუთავსებლობის თაობაზე.

სადავო ნორმატიული აქტი სუბსტანციურად ეწინააღმდეგება ევროკავშირში ინტეგრაციის კონსტიტუციურ მიზანს და ამის თვალსაჩინო ფაქტობრივ მტკიცებულებას წარმოადგენს ევროკავშირის სტრუქტურებიდან ერთადერთი პირდაპირი საარჩევნო სისტემის ფარგლებში არჩეული სახელისუფლებო სტრუქტურის რეზოლუცია. კერძოდ, ევროპარლამენტის 2024 წლის 24 აპრილის რეზოლუცია N(2024/2703(RSP)) ,,ევროპარლამენტის რეზოლუცია საქართველოში უცხოელი აგენტების კანონის ხელახალი შემოღების მცდელობებისა და სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვების შესახებ“[30]. აღნიშნული დოკუმენტის პირველ-მე-3 პუნქტებში ევროპარლამენტი მიუთითებს, რომ: იგი კატეგორიულად გმობს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის შემობრუნებას, რომელიც დამოუკიდებელ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შეზღუდვებს უწესებს და რასაც უკვე მოჰყვა მასობრივი პროტესტი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, დამოუკიდებელი მედიის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეებისა და ქვეყნის ევროპელი და საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან; ევროპარლამენტი ხაზს უსვამს, რომ კანონპროექტი შეუთავსებელია ევროკავშირის ღირებულებებთან და დემოკრატიულ პრინციპებთან, ასევე, ეწინააღმდეგება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების ამბიციებს, აზიანებს საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას; ევროპარლამენტი აღნიშნავს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები არ უნდა დაიწყოს, სანამ ეს კანონი საქართველოს სამართლებრივი წესრიგის ნაწილია.“

გამომდინარე აღნიშნული ერთმნიშვნელოვანი პოზიციიდან, ცალსახაა, რომ სადავო კანონი განგრძობითად წარმოშობს დაბრკოლებას საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში სრული ინტეგრაციისათვის.

გარდა ევროპარლამენტის რეზოლუციისა, რომელიც საბოლოოდ გავლენას ახდენს ევროკავშირის მხრიდან მისაღებ გადაწყვეტილებაზე, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ევროკომისიის პრეზიდენტის,

[29] < https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359741 >;
[30] < https://www.europarl.europa.eu/doceo/document/RC-9-2024-0244_EN.html >;

როგორც პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. 2024 წლის 2 მაისს ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ ,,საქართველოს მოქალაქეები ავლენენ თავიანთ მტკიცე მიჯაჭვულობას დემოკრატიისადმი. საქართველოს მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ეს მკაფიო გზავნილი. ევროკავშირმა ასევე მკაფიოდ გამოხატა თავისი შეშფოთება საგარეო გავლენის შესახებ კანონთან დაკავშირებით. ქართველ ხალხს სურს თავისი ქვეყნის ევროპული მომავალი. ამ მისწრაფებების აღიარებით, დეკემბერში ევროპულმა საბჭომ საქართველოს მიანიჭა კანდიდატის სტატუსი და დასახული იყო მკაფიო გზა გაწევრიანების მოლაპარაკებების დასაწყებად. ჩვენ ველით, რომ საქართველოს მთავრობა მიიღებს სწრაფ ზომებს, რომლებიც მათი, როგორც კანდიდატი ქვეყნის წარმომადგენელთა ვალდებულებაა. საქართველო გზაჯვარედინზეა. ის ევროპისკენ მიმავალ გზაზე უნდა დარჩეს.“[31]

2024 წლის 04 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს ორგანიზაციის გენერალური მდივანმა სადავო კანონთან დაკავშირებით განაცხადა, ,,მე [ Jens Stoltenberg (იენს სტოლტენბერგი)] ვეწინააღმდეგები საქართველოს მთავრობის ნებისმიერ მცდელობას, ხელახლა შემოიღოს კანონპროექტი უცხო აგენტების ან საგარეო გავლენის შესახებ, რადგან ეს რეალურად ეწინააღმდეგება საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მთელ ძალისხმევას. საქართველომ უნდა იმუშაოს რეფორმებზე, რათა დაუახლოვდეს ნატოს და დაუახლოვდეს ევროკავშირს. შესაბამისად, ევროკავშირიც ძალიან მკაფიო იყო ამ საკითხში. საქართველოში, თბილისში, სულ რამდენიმე კვირის წინ ვიყავი. და, რა თქმა უნდა, ჩემი ერთ-ერთი მთავარი გზავნილი იყო რეფორმების მნიშვნელობა, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. ქართველმა ხალხმა ასევე ნათლად აჩვენა, რომ მათ სურთ დემოკრატიული აყვავებული მომავალი ევროპულ და ევროატლანტიკურ ოჯახში. ასე რომ, ნებისმიერი კანონი, რომელმაც შემოიტანა იდეა უცხოელი აგენტის შესახებ, რომელსაც ასევე ვშიშობ, რომ რეალურად ექნება გავლენა ბევრ მედიასაშუალებაზე, რომლებიც მოქმედებენ როგორც საერთაშორისო დონეზე, ასევე შემდეგ საქართველოში, ძირს უთხრის მთელ იდეას საქართველო გახდეს უფრო ძლიერი დემოკრატიული საზოგადოება.“[32]

2024 წლის 16 აპრილს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში და ევროკომისარმა სამეზობლო და გაფართოების საკითხებში ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, სადაც მოუწოდეს საქართველოს თავი შეიკავოს იმ კანონების მიღებისგან, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს სვლას ევროკავშირისკენ - გზას, რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა.

2024 წლის 15 მაისს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ასევე მოუწოდა საქართველოს კანონის გაუქმებისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროკავშირის კარი საქართველოსთვის დაიხურება .[33]

სადავო კანონთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვეს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. 2024 წლის 2 მაისს გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, ვოლკერ თურკმა საქართველოს

[31] < https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/news/statement-president-von-der-leyen-situation-georgia-2024-05-01_en >;
[32] < https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_224174.htm?selectedLocale=en >;
[33] <https://agenda.ge/en/news/2024/39651#gsc.tab=0>;

ხელისუფლებას მოუწოდა უკან წაიღოს კანონპროექტი, [რომელიც] „... სერიოზულ საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლებისა და გაერთიანების უფლებებს“.[34]

ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის ცალკეული წევრი სახელმწიფოების პოზიციებს, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სადავო საკანონმდებლო აქტის მოქმედების პირობებში საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში.
ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან პოლიტიკურად და ეკონომიკურად ლიდერი ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურებმა - საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა და გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა ოლაფ შოლცმა გააკეთეს ერთობლივი განცხადება: ,,ჩვენ, გერმანია და საფრანგეთი, ღრმად შეშფოთებულები ვართ საქართველოში შექმნილი სიტუაციით. ჩვენი, ორივე ქვეყანა იყო საქართველოს ევროპული გზის მტკიცე მხარდამჭერი და აქტიურად უჭერდა მხარს ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებას 2023 წლის დეკემბერში კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ. უკიდურესი სინანულით ვეკიდებით საქართველოს მთავრობისა და მმართველი პარტიის გადაწყვეტილებას, გადაუხვიონ ამ გზიდან და იმოქმედონ ჩვენი საერთო ევროპული ღირებულებებისა და ქართველი ხალხის მისწრაფებების წინააღმდეგ, რაც გამოიხატება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ე. წ. კანონის მიღებაში.“[35]
გერმანიის ფედერალურმა კანცლერმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას ასევე აღნიშნა, რომ „დიდი იმედი გვაქვს, საქართველო არ მიიღებს ე. წ ,,აგენტების შესახებ კანონს“ და პარლამენტი გაითვალისწინებს როგორც ჩვენი, ასევე საქართველოს მოსახლეობის კრიტიკულ პოზიციას, ჩვენ, ისევე როგორც მთელი ევროკავშირი, ძალიან კრიტიკულად ვსაუბრობთ ე. წ. ,,აგენტების კანონზე“. მას შემდეგ, რაც შარშან მისი მსვლელობა შეჩერდა, იმედი გვქონდა, რომ ეს საკითხი აღარ დადგებოდა დღის წესრიგში, - შარშანდელი ვერსია, „პრაქტიკულად, არ შეცვლილა. ევროკავშირს არ აქვს მსგავსი კანონმდებლობა. არსებობს დისკუსია იმის შესახებ, გამჭვირვალობა დამყარდეს სხვადასხვა სფეროში, მაგრამ ეს სრულიად სხვა კონცეფცია გახლავთ და ჯერჯერობით არ არის, ალბათ არც იქნება გადაწყვეტილი“.[36]

იმდენად რამდენადაც ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ ერთხმად კონსესუსის საფუძველზე წყდება, უმნიშვნელოვანესია, მათ შორის, ცალკეული წევრი სახელმწიფოების პოზიციებიც, კერძოდ: ესტონეთის პარლამენტმა (რიიგიკოგუ) 2024 წლის 11 ივნისს მიიღო განცხადება (რეზოლუცია) „საქართველოში დემოკრატიის კრიზისის შესახებ“, რომელშიც დაგმო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებისა და ევროპული გზიდან გადახვევის თაობაზე. განცხადებაში (რეზოლუცია) ნათქვამია, რომ ვიდრე კანონი არ გაუქმდება, ესტონეთი დაბლოკავს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, მის ხელისუფლებას სანქციებს დაუწესებს და ევროკავშირის მხრიდან შემდგომ სანქციებს, მათ შორის, უვიზო რეჟიმის შეჩერებას დაუჭერს მხარს.[37]

---

[34] 2024 წლის 21 მაისის ევროპული კომისია დემოკრატიისთვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისია) -ის სასწრაფო დასკვნა CDL-PI(2024)013 საქართველოს კანონზე ,, უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ პ. 16-17
[35] < https://www.facebook.com/EmmanuelMacron/posts/1015462769935639?ref=embed_post >;
[36]<https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%AA%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A8%E1%83%98/32902680.html >;
[37] < https://civil.ge/wp-content/uploads/2024/06/Statement-of-the-Riigikogu-On-the-Crisis-of-Democracy-in-Georgia.pdf > ;

გარდა ამისა, საყურადღებოა სხვა სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენლების მიერ გაჟღერებული პოზიციები. ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც მითითებულია შემდეგი: „ღრმად ვწუხვართ საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის საბოლოო მიღების გამო. ეს არასწორი მიმართულებით საგანგაშო ნაბიჯია! ეს ევროპული მომავლის შესახებ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის სურვილს ეწინააღმდეგება.“[38] ასევე, ბელგიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაჯა ლაბიბმა განაცხადა, რომ „ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართველ ხალხს და მათ არჩევანს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის სასარგებლოდ. ქართველები ევროპული მომავლისკენ ისწრაფვიან. მათი ხმის მოსმენა აუცილებლად უნდა მოხდეს.“[39] დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის ლარს ლოკე რასმუსენის განცხადებით, „საქართველოს „უცხოური აგენტების კანონი“ ევროპულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება. ახლა იგი მიიღეს საქართველოს ნამდვილი პარტნიორების რჩევის საწინააღმდეგოდ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართველი ხალხის მოწოდებას დემოკრატიისკენ და მტკიცედ მივმართავთ საქართველოს მთავრობას, უკან წაიღოს კანონი და დაიცვას ევროკავშირის გზისადმი ერთგულება.“[40]

აღსანიშნავია, ასევე ევროპის 12 ქვეყნის ( გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატა, დანიის ფოლკეტინგი, ესტონეთის რიიგიკოგუ, საფრანგეთის ეროვნული ასამბლეა, გერმანიის ბუნდესტაგი, ირლანდიის ოირიახტასი, იტალიის დეპუტატთა პალატა, ლატვიის სეიმი, ლიეტუვის სეიმი, პოლონეთის სენატი, ნორვეგიის სტორთინგი, ჩეხეთის პარლამენტის ორივე პალატა) საკანონმდებლო ორგანოების საგარეო კომიტეტების თავმჯდომარეების ერთობლივი განცხადება, სადაც გამოხატავენ „ღრმა შეშფოთებას“ „ამ რუსული სტილის კანონის შინაარსის გამო“, კანონისა, რომელიც, მათი განცხადების თანახმად, „შემუშავებულია საქართველოს ენერგიული პროდასავლური სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის სტიგმატიზების და დასუსტების მიზნით“ და რომლის ხელახლა ინიცირებაც „სერიოზულად უთხრის ძირს საქართველოს მიერ რთულად მოპოვებულ ევროპულ პერსპექტივასა და კანდიდატის სტატუსს“.

ამდენად, საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია და მათი შეფასებები ერთხმად მიუთითებენ სადავო კანონისა და ევროპული ინტეგრაციის პროცესის შეუთავსებლობაზე. 2024 წლის 28 მაისს მიღებული კანონი მკაფიოდ, ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად აცილებს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზანს, რაც თავის მხრივ, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სადავო ნორმატიული აქტი სრულად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლს და სადავო კანონი ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლთან მიმართებით უნდა იქნეს არაკონსტიტუციურად ცნობილი.

---

[38] < https://twitter.com/MFA_Austria/status/1795494446361923857 >;
[39] < https://twitter.com/hadjalahbib/status/1795744754967458284 >;
[40] < https://twitter.com/DanishMFA/status/1790351657923949024 >;

## 2. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცულ გაერთიანების თავისუფლებასთან მიმართებით

**დაცული სფერო**

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლში ჩამოყალიბებული უფლება პირდაპირ უკავშირდება ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას. ,,ადამიანი, თავისი არსით, არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ სოციალური არსებაცაა, რომლის შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. ადამიანის თავისუფლება არ არის თავისუფლება საზოგადოებისაგან, ეს არის თავისუფლება საზოგადოებაში, სადაც არსებობს და გადაიკვეთება მრავალი თანმხვედრი, თუ ურთიერთსაპირისპირო ინტერესი. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვა პირებთან, სოციალურ, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად.''[41] ,,კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პირთა მიერ თავისუფალი სოციალური ჯგუფების შექმნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა.''[42] შესაბამისად, გაერთიანების უფლების მნიშვნელობა უპირველესად ადამიანის სამოქალაქო აქტივობის უზრუნველსაყოფად არის მოხსენიებული კონსტიტუციაში, რასაც ადასტურებს კიდეც საკონსტიტუციო სასამართლოს კიდევ ერთი ჩანაწერი: ,,გაერთიანების თავისუფლებას დიდი დატვირთვა ენიჭება არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლების გარანტირების, არამედ დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების კუთხით. გაერთიანების თავისუფლებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის ინტეგრირებისა და მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების ჩამოყალიბებისათვის.''[43]

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, ,,თავისი არსით, გაერთიანების თავისუფლება მრავალწახნაგოვანი ძირითადი უფლებაა. მას არსებითად აქვს დაცვითი ფუნქცია, რომლის შინაარსი მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, არ ჩაერიოს გაერთიანების თავისუფლებაში (სტატუს ნეგატივუს) სასამართლო ასევე იზიარებს მეცნიერებასა და პრაქტიკაში გავრცელებული აზრს, რომ გაერთიანების თავისუფლებაში მოიაზრება, ასევე, ე.წ. „ჯგუფური ძირითადი უფლება", რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანების თავისუფლების რეალიზაციით შექმნილი კოლექტივიც სარგებლობს კონსტიტუციურ სამართლებრივი დაცვით.[44]

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია. სიტყვასიტყვით ეს ნიშნავს, რომ ადამიანებს მხოლოდ გაერთიანების შექმნის და მასთან შეერთების უფლება აქვთ, თუმცა ეს გამოიწვევდა, მთელ რიგ ,,ღია საკითხებს'' და ,,გაერთიანების არსებობის რომელიმე ეტაპზე კონსტიტუციური დაცვის გაუვრცელებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, დაუშვებლად გაზრდიდა სახელმწიფოს მხრიდან მის საქმიანობაში თვითნებური ჩარევის რისკს და არაეფექტურს გახდიდა გაერთიანების თავისუფლების კონსტიტუციურ სამართლებრივ დაცვას. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლებას ასე ვიწროდ არ კითხულობს და მიიჩნევს, რომ ,,...არა მხოლოდ გაერთიანების შექმნისა და გაერთიანებაში გაწევრიანების პროცესია დაცული, არამედ

---

[41] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბერის #2/2/439 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.2 < https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=375 >;

[42] იქვე, II.პ.4;

[43] იქვე II.პ.2;

[44] იქვე II.პ.7;

გაერთიანების არსებობასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მხარეები, როგორიცაა მიზნის შერჩევა, საქმიანობის ორგანიზება, გადაწყვეტილებების მიღება, გაერთიანების წევრად დარჩენა, გაერთიანების ლიკვიდაცია და ა.შ.[45]

აღნიშნულ შემთხვევაში პერსონალურად დაცულ სფეროს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების მედია ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები. საგნობრივად დაცულ სფეროს კი წარმოადგენს გაერთიანების საქმიანობის თავისუფლება, რომელსაც იცავს კონსტიტუციის 22-ე მუხლი.

ჩარევა დაცულ სფეროში

„უცხოური გავლენის გამჭირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები და მეოთხე პუნქტი, მე-4 მუხლის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე პუნქტები, მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მესამე და მეოთხე წინადადებები, მე- 8 მუხლის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტები, მე-9 მუხლის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტები, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც: „1. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია. 2. გაერთიანების ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ ამავე გაერთიანების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“

,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განისაზღვრება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი და დგინდება, რომ კანონის ადრესატი იურიდიული სუბიექტები წარმოადგენენ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებს.

სადავო კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულია, რომ  მედია ორგანიზაციები (მაუწყებელი, მასობრივი ინფორმაციის საშუალება ან ინტერნეტ პლატფორმა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (გარდა ისეთი ა(ა)იპ-ებისა, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არის დაფუძნებული, ასევე სპორტული ფედერაციებისა და სისხლის დონაციასა და ტრანსფუზიასთან დაკავშირებული ორგანიზაციებისა), რომელთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა, უნდა დარეგისტრირდნენ  უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად შესაბამის რეესტრში. ამასთან, სადავო კანონის მე-4-მე-6 მუხლებით გათვალისწინებულია, რომ აღნიშნულ რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციის შემდგომ ზემოაღნიშნული სუბიექტები ვალდებულნი არიან წარადგინონ საფინანსო დეკლარაცია და მიუთითონ ინფორმაცია კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ და ასევე კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ.
ხოლო იმავე კანონის მე-8 მუხლით დგინდება მსგავსი ორგანიზაციების მიმართ სახელმწიფოს მონიტორინგის განხორციელების წესი, რომელიც მონიტორინგის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირის ინიციატივის საფუძველზეც შეიძლება განხორციელდეს. მე-9 მუხლით კი დგინდება  მაღალი ფულადი სანქციები იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ გაითვალისწინებენ კანონის მოთხოვნებს.

[45] იქვე II.პ.8-9;

ყველა ზემოაღნიშნული დებულება არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ გაერთიანების თავისუფლებას. სადავო კანონის მე-2 მუხლით ფაქტობრივად მკვიდრდება იარლიყი და დამღა უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის სტატუსის ქვეშ, რაც იწვევს სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრების სტიგმატიზაციას, ხოლო საბოლოოდ არსებით გავლენას ახდენს გაერთიანების თავისუფლებაზე. რაც შეეხება რეესტრში რეგისტრაციისა და ფინანსური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას, აღნიშნული წარმოადგენს გაერთიანების თავისუფლებაში ინტერვენციას, კერძოდ, გაერთიანებების საქმიანობის თავისუფლების პროცესში ჩარევის ფორმით, რაც საბოლოოდ არსებით გავლენას ახდენს ამ ძირითადი უფლების სრულფასოვან რეალიზაციაზე. ამგვარი წესებით რეალურად შეუძლებელი ხდება დაფინანსების მოპოვება არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომელთა ძირითადი ფინანსური რესურსი სწორედ უცხოური წყაროა, ხოლო დაფინანსების არარსებობის პირობებში ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება საქმიანობის განხორციელება. კანონით გათვალისწინებული წესით დადგენილი სახელმწიფო მონიტორინგი წარმოადგენს იმ ინტენსივობის ჩარევას, რომელიც იწვევს ფაქტიურად ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩარევას და მის შეფერხებას. ხოლო საბოლოოდ მაღალი სანქცია, რომელსაც ითვალისწინებს კანონმდებლობა, გამოიწვევს მძიმე მატერიალურ-ფინანსურ ტვირთს, რაც საბოლოოდ ასევე არსებით გავლენას იქონიებს გაერთიანების ფუნქციონირებაზე.
აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა, რომ სადავო კანონით ხორციელდება ჩარევა გაერთიანების თავისუფლების ძირითად უფლებაში, კერძოდ, იზღუდება გაერთიანების თავისუფლების ის დაცული სფერო, რომელიც იცავს გაერთიანების თავისუფლად საქმიანობისა და ფუნქციონირების უფლებას.

**ჩარევის კონსტიტუციურ სამართლებრივი შემოწმება (ლეგიტიმური მიზნის არარსებობა)**

რაც შეეხება აღნიშნული ჩარევის კონსტიტუციურობას მატერიალურ სამართლებრივი თვალსაზრისით, უნდა ითქვას, რომ გაერთიანების თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და იგი შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუკი იარსებებს თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში გამართლებული ლეგიტიმური მიზანი. აღნიშნულ შემთხვევაში კანონმდებელი მიუთითებს, რომ ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის ფინანსური გამჭვირვალობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეუთოს 2023 წლის 25 ივლისის N NGO-GEO/465/2023 [JB] დასკვნაში მითითებულია, რომ ასოციაციების დაფინანსების „გამჭვირვალობის“, „გახსნილობის“ ან „საჯაროობის“ უზრუნველყოფის მიზანი თავისთავად არ წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, თუმცა შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც ის შეიძლება წარმოადგენდეს ერთი ან ერთზე მეტი ლეგიტიმური მიზნის დევნის საშუალებას, რომლითაც აღიარებულია აღნიშნული უფლების შეზღუდვის დაშვება, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგი ან ისეთი დანაშაულების პრევენცია, როგორიცაა კორუფცია, მითვისება, ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციები მკაფიოდ მიუთითებენ, რომ რეალურად ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს ჩარევის გამამართლებელი ლეგიტიმური მიზანი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მოსაზრებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გამჭვირვალობა უთანაბრდება საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანიზაციების გამჭვირვალობის სტანდარტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის N1/5/323 გადაწყვეტილებაში ზოგადად განისაზღვრა გაერთიანების თავისუფლების არსი და საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საზოგადოებრივ გაერთიანებას, მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. მათში საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან განსხვავებით,

წინა პლანზე წამოწეულია კერძო კოლექტიური ინტერესი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სოციალურ, შემოქმედებით, კულტურულ და სხვა სფეროებს. კერძო სამართლის იურიდიულ პირს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა (მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა გათვალისწინებული წესდებაში). საჯარო სამართლის იურიდიული პირი კი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონში ან მის დამფუძნებელ დოკუმენტში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მკაცრი გამიჯვნა გააკეთა საჯარო და კერძო სამართლის გაერთიანებებს შორის და სწორედ ამის შემდეგ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა (სიგურდურ სიგუიონსონი ისლანდიის წინააღმდეგ).[46] მათ შორის, სწორედ ზემოაღნიშნული არსებითი დიფერენციაციის გამოც, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობაში იმგვარი ჩარევა, რაც ითვალისწინებს მათ ფინანსური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას, ხოლო შემდგომ საჯარო ხელისუფლების მხრიდან მონიტორინგის განხორციელებას და საბოლოოდ აშკარად არაგონივრული სანქციების გამოყენებას კანონის ადრესატთა მიმართ. ბუნებრივია აღნიშნული სამართლებრივი მექანიზმები არ ემსახურება ისეთი დანაშაულების პრევენციას, როგორიცაა კორუფცია, მითვისება, ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება. შესაბამისად ევროპული სტანდარტით აღნიშნულ შემთხვევაში არ არსებობს უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი, რის გამოც ჩარევა არის არაკონსტიტუციური და გაუმართლებელი კონსტიტუციის 22-ე მუხლთან მიმართებით.

### 3. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრებისა და პერსონალური ინფორმაციის დაცვის უფლებასთან მიმართებით

#### დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მიზანი უკავშირდება მასში ჩამოთვლილი სიკეთის ხელშეუხებლობის დაცვას. რაც შეეხება ზოგადად „პირადი ცხოვრების“ ხსენებას, იგი ემსახურება იმ ინტერესის ხაზგასმას, რის გამოც პირადი მიმოწერის, სახლის ან სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა არის დაცული. თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებელი იქნება, ეს ზოგადი ფრაზა ჩამონათვალს გახსნის და იმ მოვლენების დაცვის საშუალებას მისცემს სასამართლოს, რაც ნორმაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ არის.[47] საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადამიანის პირადი ცხოვრების ცნება ფართო კონცეფციაა და შედგება არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან, რომლებიც დაცულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით. ზოგადად, პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო, პრივატული სფეროს არსებობას, პირის უფლებას, სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან, ასევე, ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, მოახდინოს ინფორმაციისა თუ მოსაზრებების გაცვლა-გაზიარება მათთან (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა

[46] „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ვაჭარაძე, არტურ კაზაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიშვილი, შორენა ოსკოპელი და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. < https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=280 >;

[47] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის #1/2/458 განჩინება, II.პ.17 < https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=404 >;

იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“).[48]

პერსონალური მონაცემის დამუშავება პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე და ამ მხრივ იძულების მექანიზმის გამოყენებით იხსნება პირადი ცხოვრების თავისუფლებით დაცული უფლება პერსონალურ მონაცემთა და პირადი საიდუმლოების დაცვის უფლებასთან მიმართებით.

აღნიშნულ შემთხვევაში დაცული სფერო იხსნება, რადგანაც პირადი ცხოვრების უფლების სუბიექტს წარმოადგენს ინდივიდი, კონკრეტულ შემთხვევაში ის სუბიექტები, რომელებიც დასაქმებულნი არიან ან/და სამართლებრივად დაკავშირებულნი არიან სამოქალაქო/არასამთავრობო და სამაუწყებლო ორგანიზაციებში. მეტიც, თუ გავიზიარებთ ეუთოსა და ვენეციის კომისიის პოზიციებს, აღნიშნული უფლების სუბიექტად შეიძლება განვიხილოთ პირთა გაერთიანებაც, რომელიც კოლექტიურად შეიძლება იცავდეს მათ თანამშრომელთა ინდივიდუალურ უფლებას და არა მხოლოდ. აქედან გამომდინარე, ცალსახაა დაცული სფეროს ორივე კომპონენტის არსებობა, როგორც სუბიექტის, როგორც პერსონალურად დაცული სფეროს თვალსაზრისით, ისე ობიექტი, როგორც საგნობრივად დაცული სფეროს თვალსაზრისით.

**ჩარევა დაცულ სფეროში**

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2-მე-4 წინადადება, ამავე კანონის მე-6 მუხლი, ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მე-2-მე-4 წინადადება, მე-8 მუხლის 1-მე-5 პუნქტები და მე-9 მუხლის მე-4-მე-6 პუნქტები არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლებას.

სადავო კანონი ითვალისწინებს სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის პროცესში, ასევე, ამგვარი ორგანიზაციების მიერ ფინანსური დეკლარაციის წარდგენის პროცესში, ასევე ამ ორგანიზაციათა მონიტორინგის პროცესში ფიზიკური პირის ნების გარეშე მისი პერსონალური მონაცემის დამუშავებას, მათ შორის, განსაკუთრებული პერსონალური მონაცემებისაც. ხოლო საბოლოოდ სადავო კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აღნიშნული კანონის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა იწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

სადავო კანონის აღნიშნული დებულებებით ხორციელდება ჩარევა პირადი ცხოვრებისა და პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ძირითად უფლებაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადგენილია, რომ პირადი ცხოვრების თავისუფლებაში ჩარევის ფორმალურ კონსტიტუციურ სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ასევე წინასწარი სასამართლო კონტროლი (გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა, რომელსაც ასევე სჭირდება შემდგომი სასამართლო კონტროლი), რომლის საფუძველზეც შეიძლება

[48] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 04 ნოემბრის განჩინება N3/14/1687გიორგი მიქელაძე საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წინააღმდეგ
< https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14430 >;

განხორციელდეს ინტერვენცია აღნიშნულ უფლებაში, თუმცა, სადავო კანონით აღნიშნულ უფლებაში ჩარევა არც პრევენციული და არც შემდგომი სასამართლო კონტროლის მექანიზმს არ ითვალისწინებს, მეტიც, სადავო კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმაც კი სასამართლოს პრევენციული კონტროლის გარეშე შეიძლება დაეკისროს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს და აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს უფლებაში ჩარევის ფორმალური კონსტიტუციურობის პრობლემას. მთლიანობაში, აღნიშნულ უფლებაში ჩარევა ფორმალურ კონსტიტუციურ სამართლებრივი თვალსაზრისით გაუმართლებელია.

**ჩარევის პროპორციულობის შემოწმება (ლეგიტიმური მიზნის არარსებობა)**

მართალია, აღნიშნულ შემთხვევაში ჩარევა გაუმართლებელია ფორმალური კონსტიტუციური საფუძვლიდან გამომდინარე, თუმცა, ასევე გაუმართლებელი და არაპროპორციულია შეზღუდვა მატერიალურ-კონსტიტუციური საფუძვლითაც, ვინაიდან ამგვარ ჩარევას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი.

გაერთიანების თავისუფლების შესახებ ODIHR-სა და ვენეციის კომისიის ერთობლივი სახელმძღვანელოს თანახმად, „კონფიდენციალურობის უფლება ვრცელდება ასოციაციაზე“ (პარაგრაფი 228) და „კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს გარანტიებს ასოციაციების კლიენტების, წევრებისა და დამფუძნებლების კონფიდენციალურობის უფლების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, ასევე უზრუნველყოს ამ კუთხით ნებისმიერი დარღვევის გამოსწორება“ (პარ. 231). ნებისმიერი ჩარევისას პირად ცხოვრებასა და კონფიდენციალობის უფლებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპები. გარკვეულ პირობებში, საზოგადოებრივი გაერთიანებების გარკვეული თანამშრომლების გვარების გამჟღავნებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მათ უსაფრთხოებას (მაგალითად, მათ, ვინც მუშაობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა კორუფცია, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა ან გენდერული, სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია, ორიენტაცია და გენდერული იდენტობა) და შესაძლოა, წარმოადგენდეს მათი შევიწროების რისკს. კონკრეტულად დონორებს რაც შეეხება, ზოგიერთ შემთხვევაში, ასოციაციების დონორებისა და კონტრაქტორების ვინაობის გამჟღავნებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს დონორთა მზადყოფნაზე, გააგრძელონ მხარდაჭერა და თანამშრომლობა ამ ასოციაციებისთვის, თუ ისინი საჯაროდ იქნება გამოვლენილი.[49]

სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით ვენეციის კომისია და ეუთო მიიჩნევენ, რომ ფიზიკური პირების და სხვა სუბიექტების პერსონალური მონაცემების შეგროვება და რეესტრში გამოქვეყნება წარმოადგენს მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას, რაც არ არის გამართლებული, **რადგანაც მას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი.**

უნდა გავიზიაროთ ზემოაღნიშნული არგუმენტი ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით, რადგან კანონის ლეგიტიმურ მიზნად დასახელებული გამჭვირვალობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში რეალურად

---

[49] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი ვარშავა, 2023 წლის 25 ივლისი აზრი-№: NGO-GEO/465/2023 [JB] „მოსაზრება საზღვარგარეთიდან დაფინანსებული ასოციაციების გამჭვირვალობისა და რეგულირების შესახებ საკანონმდებლო ინიციატივების ან ე.წ. „უცხოელი აგენტების შესახებ კანონების“ და მსგავსი კანონმდებლობის შესახებ და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან“, 60-61;

წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის მექანიზმს და ხელოვნურ კონსტრუქციას და არა ლეგიტიმურ მიზანს.

**ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში პირადი ცხოვრების თავისუფლებაში ჩარევა არაკონსტიტუციურია ფორმალური და მატერიალური კონსტიტუციურობის თვალსაზრისით.**

4. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ სიტყვისა და აზრის გამოხატვის, ინფორმაციის გავრცელებისა და ინტერნეტის თავისუფლებასთან მიმართებით

დაცული სფერო

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია სიტყვის და აზრის გამოხატვის თავისუფლება, ისევე, როგორც ინფორმაციის გავრცელების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ გადაწყვეტილებებში ხშირად აღნიშნავს ამ ფაქტორს. ,,დემოკრატიის პრინციპს უკავშირდება ინფორმაციისა და აზრის თავისუფლება, რადგანაც ინფორმაციული ვაკუუმისა და აზრის შეზღუდვის პირობებში, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და დემოკრატიული კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგის სიცოცხლისუნარიანობა.''[50]

სასამართლო აღნიშნავს: ,,გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას.''[51]

გამოხატვის თავისუფლების სათანადო იმპლემენტაციის გარეშე შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილად განხორციელება. ,,გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების საფუძველია, ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია. სახელმწიფო ვერ იქნება წარმატებული, თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის გარეშე, რომლის მთავარ ფუნქციას საზოგადოების ინფორმირება, მისთვის

[50] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ. პ.II.4.; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის'', მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,საქართველოს კონსერვატიული პარტია'', საქართველოს მოქალაქეები _ ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.25;

[51] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.26;

მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის ხელშეწყობა წარმოადგენს. სწორედ გამოხატვის თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს ქვეყნის (საზოგადოების) თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ხარისხს...''[52]

,,თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს. ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, ან თავი შეიკავოს მისი გამოხატვისაგან. კონსტიტუცია ამ მიმართებით კატეგორიულია – ის კრძალავს ადამიანის დევნას აზრის გამო, ასევე მის იძულებას, რომ გამოთქვას აზრი. ეს არის მკაცრი დანაწესი სახელმწიფოს, მისი ორგანოების მიმართ, რომელიც გამონაკლისს არ უშვებს. დემოკრატიული პროცესის მამოძრავებელია ის ძალა, სულიერი გავლენა, რომელიც აზრისათვის არის დამახასიათებელი. კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს, თუმცა, იმავდროულად, ამ უფლებათა შეზღუდვის ფორმალურ და მატერიალურ პირობებსაც ადგენს.''[53]

კონსტიტუციის მე-17 მუხლი იცავს ადამიანისა და პირთა გაერთიანებების უფლებას, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს საკუთარი აზრი, საგანგებოდ იცავს აზრისა და ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით გავრცელების შესაძლებლობას, …მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები.[54]

საკონსტიტუციო სასამართლოს თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რას იცავს მე-17 მუხლი: პირის უფლებას, გაავრცელოს ინფორმაცია საკაბელო ქსელის ან/და თანამგზავრული სისტემის გამოყენებით. აგრეთვე თავად მაუწყებლის, როგორც იურიდიული პირის უფლებას, დაუბრკოლებლად განახორციელოს მაუწყებლობა.[55]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო კანონი მიემართება კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით დაცულ სფეროს, რაც გულისხმობს, რომ აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია.

იმდენად რამდენადაც სადავო კანონი მიემართება იმ სამართალურთიერთობებს, რომელიც გულისხმობს აზრისა და ინფორმაციის გავრცელებას მაუწყებლების, ინტერნეტ საინფორმაციო პლატფორმებისა და მედია ორგანიზაციების მხრიდან, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ სადავო კანონმდებლობით იხსნება კონსტიტუციით დაცული გამოხატვის თავისუფლების საგნობრივად დაცული სფერო.

---

[52] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბერის # 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.პ.6;

[53] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერი #2/2-389 გადაწყვეტილება, II.პ.13;

[54] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.27;

[55] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.28.;

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა თანაბრად შეუძლიათ როგორც ფიზიკურ პირებს, ისე პირთა ჯგუფს. ,,სახელმწიფო, იღებს ... ვალდებულებას ერთნაირად უზრუნველყოს პირთა ჯგუფის, თუ ცალკეულ პირთა უფლება, აზრის მათთვის სასურველი ფორმით თავისუფლად გამოხატვაზე.''[56] შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა პერსონალურად დაცული სფეროც, ვინაიდან აღნიშნული სამართალურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ როგორც ფიზიკური ისე იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ მედია საქმიანობას და სარგებლობენ მედიის თავისუფლებით სხვადასხვა მედია პლატფორმების გამოყენებით.

ჩარევა დაცულ სფეროში

სადავო კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ზ", „გ" და „დ" ქვეპუნქტებით, კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით ხორციელდება ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ სუბიექტად რეგისტრაცია ევალება ყველა იმ მედია ორგანიზაციას, რომელიც ფინანსდება მთლიანი წლიური არაკომერციული შემოსავლის 20%-ით მაინც უცხოეთიდან. რაც ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს საკანონმდებლო აქტის მეშვეობით პირდაპირ ინტერვენციას მედია ორგანიზაციების საქმიანობის თავისუფლებაში.

საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიიჩნია ისიც, რომ კანონით გათვალისწინებული ლიცენზირების ვალდებულება სამაუწყებლო მედიის საქმიანობის შეზღუდვას წარმოადგენდა და, ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას ნიშნავდა.[57] გამომდინარე აქედან თუ კი ლიცენზირება გულისხმობს აღნიშნულ უფლებაში ჩარევას ცალსახად შეიძლება ითქვას ისიც, რომ უცხოური ძალის გავლენის აგენტად რეგისტრაციაც წარმოადგენს სწორედ ამ უფლებაში ჩარევას.

ჩარევის პროპორციულობის შემოწმება ( ლეგიტიმური მიზნის არ არსებობა)

ინფორმაციის და აზრის გავრცელების უფლება არ არის აბსოლუტური, მისი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები საქართველოს კონსტიტუციის მე-17-ე მუხლში არის მოცემული. საკანონმდებლო ნორმა, რომელიც აზრისა და ინფორმაციის გავრცელებას ზღუდავს, ამავე მუხლით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. კონსტიტუცია გამოხატვის თავისუფლების ამ ასპექტის შეზღუდვას კონსტიტუციითვე დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად ითვალისწინებს და შეზღუდვის საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს ადგენს.[58]

---

[56] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბერის # 2/2/180-183 გადაწყვეტილება;

[57] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, II.პ.29.;

[58] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება, პ.II.29,39; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბერის #2/2-389 გადაწყვეტილება, პ.II.14; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება, პ.II.25;

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნულ შემთხვევაში კი კანონმდებელი მიზნად ისახავს ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფას იმ კერძო მედია ორგანიზაციებისადმი, რომლებიც ფინანსდებიან უცხო ძალის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ გამჭვირვალობა მოცემულ შემთხვევაში ვერ იქნება ლეგიტიმური მიზანი. აღნიშნული ჩარევა რეალურად გამოიწვევს ორგანიზაციების დაფინანსების მიხედვით სტიგმატიზაციას. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები კონსტიტუციით ამომწურავად არის განმარტებული, ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ ვერც კანონმდებლის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება მიჩნეული ლეგიტიმურ მიზნად. შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლებაში ამგვარ ჩარევას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და წარმოადგენს არაკონსტიტუციურ და გაუმართლებელ ჩარევას კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ ძირითად უფლებაში.

## 5. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობა კონსტიტუციის მე-12 მუხლთან (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება)

### დაცული სფერო

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ორ ძირითად ელემენტს - საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება და ზოგადი პიროვნული უფლება.[59] ზოგადი პიროვნული უფლება უზრუნველყოფს ინდივიდის პირადი სფეროს, სოციალური იდენტობისა და დამოუკიდებლობის პატივისცემასა და დაცვას.[60] პირის სოციალური იდენტობის განსაზღვრა მხოლოდ მასზე არ არის დამოკიდებული. ამაზე დიდ გავლენას ახდენს ის სოციალური იმიჯი, რომელიც იქმნება კონკრეტული სუბიექტის მონაწილეობით საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და სხვებთან კომუნიკაციის პროცესში, მისი აღქმა სოციუმის მხრიდან.[61] პირის სოციალური იდენტობის ასპექტი გულისხმობს საზოგადოებაში სოციალურ მნიშვნელობაზე მისი პრეტენზიის დაცვას რეპუტაციის ხელმყოფი, სოციალური იმიჯის დამაზიანებელი, დამამცირებელი შეფასების ან წარმოჩენისაგან.[62]

კერძო სამართლის იურდიულ პირებზე ვრცელდება ზოგადი პიროვნული უფლების ის ასპექტები, რომლებიც, თავისი არსით, მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ არ არის გამოყენებადი, მათ შორის, უფლება სოციალური იდენტობის დაცვაზე.[63] მაგალითად, გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს პოზიციით, უფლება პატივისა და რეპუტაციის დაცვაზე ვრცელდება ასევე იდეალური მიზნების მქონე გაერთიანებებზე, როდესაც და

[59] მაგ.: Murswiek, GG, Art. 2, Rn. 41.

[60] შეადარე მაგ.: BVerfGE 27, 1 (6) - Mikrozensus; 34, 269 (282) - Soraya; 54, 148 (153) - Eppler.

[61] მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 125; BVerfGE NJW 1989, 3269.

[62] შეადარე მაგ.: Kunig, GG, Art. 2, Rn. 32; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 74; Starck, GG, Art. 2, Rn. 171.

[63] შეადარე მაგ.: Kloepfer, II, §56, Rn. 57; Kunig, GG, Art. 2, Rn. 45, 73; Murswiek, GG, Art. 2, Rn. 39, 77; Pieroth/Schlink, Grundrechte, Rn. 150 f.; Stern, Staatsrecht III/1, 1128.

რამდენადაც საქმე შეეხება მათ პრეტენზიას სოციალურ მნიშვნელობაზე.[64] უფლება სოციალური იდენტობის დაცვაზე ვრცელდება არა მხოლოდ არაკომერციულ, არამედ კომერციულ იურიდიულ პირებზეც. მაგალითად, გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო ამ კატეგორიის იურდიულ პირებზე ზოგად პიროვნულ უფლებას ავრცელებს, თუ ხდება მათი სოციალური იდენტობის ხელყოფა.[65]
სადავო კანონის ადრესატები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსის მქონე გაერთიანებებია, რომლებსაც აქვთ იდეალური, საზოგადებრივად სასარგებლო და მნიშვნელოვანი სხვადასხვა მიზნები (მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვა, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის დახმარების აღმოჩენა, კულტურის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ა.შ.). ამ მიზნების მიღწევას ემსახურება წლებისა და უფლების ზოგიერთი სუბიექტის შემთხვევაში, ათწლეულების განმავლობაშიც კი განხორციელებული აქტიური და წარმატებული საქმიანობა. ამ პროცესში ჩამოყალიბდა მათი სოციალური იდენტობა, პოზიტიური საზოგადოებრივი იმიჯი და მყარი რეპუტაცია. ამ იდენტობის შენარჩუნებასა და დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს მათი საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელებისა და განხორციელებისათვის, რაც ამ არასამთავრობო ორგანიზაციების ბენეფიცარებისა და მთლიანად, დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებშიცაა.
სადავო კანონის ადრესატთა კიდევ ერთ ნაწილს მედია საშუალებები წარმოადგენენ. როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი პიროვნული უფლების სოციალური იდენტობის ასპექტი, გაერთიანებებთან ერთად, კომერციულ იურდიულ პირებზეც ვრცელდება. სამეწარმეო საქმიანობის წარმატებული განხორციელებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სამეწარმეო სუბიექტების საზოგადოებრივ იმიჯსა და რეპუტაციას. სოციალური იდენტობის დაცვის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ამ კატეგორიის სუბიექტთა შემთხვევაში, რაც გამოწვეულია მათი საქმიანობის სფეროს სპეციფიკით. ისინი ემსახურებიან საკომუნიკაციო უფლებების რეალიზაციას, რაც ძირითად უფლებათა კონსტიტუციური წესრიგის ქვაკუთხედად[66] და დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ ელემენტად[67] ითვლება. აღნიშნული უფლების სუბიექტები „წარმოადგენენ ადამიანების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს და თავად ინფორმაციის გავრცელების, აზრების ურთიერთგაცვლისა და გაზიარების ყველაზე ეფექტურ ფორუმს.“[68] მათი მთავარი ფუნქცია საზოგადოების ინფორმირება და მისთვის

[64] BVerwGE 82, 76 (78) - Transzendentale Meditation.
[65] BGH NJW 1986, 2951.
[66] შეადარე მაგ.: Bethge, GG, Art. 5, Rn. 9; BVerfGE 27, 71 (81 f.) - Leipziger Volkszeitung; 90, 27 (32 f.) - Parabolantenne I; 107, 299 (329) - Journalistische Verbindungsdaten.
[67] შეადარე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 5 ნოემბრის N2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.
[68] საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-71.

მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის ხელშეწყობაა.[69] ამ ფუნქციის ეფექტიანი განხორციელების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ცალკეული ინდივიდებისა და მთლიანად, საზოგადოების ნდობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი, რასაც დიდწილად მათი სოციალური იდენტობა და რეპუტაცია განაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით გათვალისწინებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ელემენტი - ზოგადი პიროვნული უფლება იცავს ზემოაღნიშნული სუბიექტების სოციალურ იდენტობას.

**ჩარევა დაცულ სფეროში**

სადავო ნორმა განსაზღვრავს პირთა იმ წრეს, რომელზეც პირდაპირ ვრცელდება კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები, ამ ვალდებულებათა შესრულების შემოწმების მექანიზმი და სანქციები მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში. იმისათვის, რომ ესა თუ ის სუბიექტი ჩაითვალოს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად", დადგენილია ერთადერთი კრიტერიუმი - კალენდარული წლის განმავლობაში მთლიანი/მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის მიღება „უცხოური ძალიდან".

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია" გულისხმობს სუბიექტს, რომელიც ემსახურება უცხოურ ძალას, მოქმედებს მისი დავალებით და მისივე ინტერესებისა და მიზნების შესასრულებლად. ამ ტერმინის სიტყვასიტყვითი და ლოგიკური შინაარსი, მისი შემოღების წინაისტორია (მან ჩაანაცვლა ტერმინი „აგენტი") და კანონპროექტის ინიციატორი და მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები თუ განმარტებები აღნიშნულ სტატუსს ანიჭებს მკვეთრად ნეგატიურ დატვირთვას, რითაც მოხდება მისი მატარებლების, როგორც „აგენტების", „ჯაშუშების", ეროვნული ინტერესებისა და ფასეულობების წინააღმდეგ მოქმედი სუბიქტების აღქმა.

ზემოაღნიშნულ სუბიექტებს, მიუხედავად მათ მიერ მიღებული უცხოური დაფინანსების მიზნობრიობისა და პირობებისა, კანონი ანიჭებს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის" სტატუსს და სანქციების მუქარით, ავალდებულებს რეგისტრაციის გავლასა და საზოგადოების წინაშე წარდგომას იმ სახით, რასაც მათ შეუქმნის ეს სტატუსი. ეს არსებითად აზიანებს მათ სოციალურ იდენტობასა და საზოგადოებრივ იმიჯს, რადგანაც გამოდის, რომ მათ შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოება და რეალურად ემსახურებიან არა იდეალური მიზნების განხორციელებასა და საკომუნიკაციო უფლებების რეალიზაციას, ცალკეული ბენეფიციარების, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას, არამედ ეროვნული ინტერესების საზიანოდ, მატერიალური სარგებლის მიღების მოტივით ატარებენ „უცხოური ძალების" (ნეგატიურ) გავლენას.

---

[69] საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის N1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-6.

ცხადია, ამგვარი ნეგატიური წარმოჩენა და სტიგმატიზაცია გამოიწვევს მათ მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შერყევას და უნდობლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, დააზიანებს მათ რეპუტაციას, რაც არსებითად გაართულებს მათი რეალური მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, ფინანსურ რესურსებზე წვდომას და მათ არსებობასაც კი შეიძლება შეუქმნას საფრთხე.[70] ფაქტობრივად, კანონის ადრესატები დგებიან დილემის წინაშე - შეწყვიტონ/მნიშვნელოვნად შეზღუდონ თავიანთი საქმიანობა ან შეეგუონ იმ სტიგმას და მასთან დაკავშირებულ უარყოფით შედეგებს, რაც უკავშირდება „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის" სტატუსს.[71] ვითარებას კიდევ უფრო გაართულებს ის გარემოება, რომ სენსიტიური პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის ხელყოფისა და შესაძლო სანქციების შიშით, მრავალი ინდივიდი შეიკავებს თავს მათთან თანამშრომლობისაგან. ამგვარად, სადავო ნორმა აზიანებს მათ სოციალურ იდენტობას და ერევა მათ ზოგად პიროვნულ უფლებაში, რაც ექვემდებარება კონსტიტუციურსამართლებრივ შემოწმებას კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით.

**ჩარევის შემოწმება - ლეგიტიმური მიზანი**

კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მისი მიზანია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა". პირველ რიგში, ყურადღებას გავამახვილებთ **„უცხოურ გავლენაზე"** რადგანაც თუ ასეთი გავლენა არ არის იდენტიფიცირებული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე და სათანადო პროცედურით, ცხადია, მისი გამჭვირვალობის უზრუნველყოფაც ვერ იქნება ლეგიტიმური მიზანი, რადგანაც არ იარსებებს ლოგიკური კავშირი უფლების შეზღუდვასა და შეზღუდვის მიზანს შორის.[72] „უცხოური გავლენის" იდენტიფიცირებისა და შესაბამისად, „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის" სტატუსის მინიჭების ერთადერთი კრიტერიუმი, რასაც გვთავაზობს სადავო ნორმა და ზოგადად, კანონი, არის რაოდენობრივი ხასიათის - კალენდარული წლის განმავლობაში მთლიანი/მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის მიღება „უცხოური ძალიდან". რაიმე ტიპის გავლენის დადგენა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა მხოლოდ ამ კრიტერიუმზე დაყრდნობით შეუძლებელია. ვენეციის კომისია მართებულად უსვამს ხაზს, რომ ნებისმიერი უცხოური დაფინანსება ლოგიკურად არ გულისხმობს დაფინანსების მიმღების „უცხოურ გავლენის" ქვეშ ყოფნას და არ არის საკმარისი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მასმედიის წინააღმდეგ მზღუდავი ღონისძიებების გასამართლებლად, მით უმეტეს, როდესაც ამგვარ დაფინანსებას ის საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ, რომელთა წევრიც საქართველოა ან რომლებშიც სურს მას გაერთიანება.[73]

---

[70] დაწვრილებით იხ.: ვენეციის კომისიის დასკვნა, პუნქტები 71-72, 75-77; ეუთო-ოდირის დასკვნა, პუნქტი 32, 51, 60.

[71] შეადარე: ეუთო-ოდირის დასკვნა, პუნქტი 51.

[72] შეადარე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-26-28; საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის N2/4/532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-147.

[73] დაწვრილებით იხ.: ვენეციის კომისიის დასკვნა, პუნქტი 63, 72-74.

ზოგადად, იმგვარი მიდგომა, რომ მატერიალური დახმარების გაწევა მხოლოდ დამფინანსებლის ინტერესებს ემსახურება, ხოლო მისი მიღება a priori დამფინანსებლის ინტერესების გატარებას ნიშნავს, ეწინააღმდეგება უანგაროდ სიკეთის კეთებისა და თანადგომის ზოგადსაკაცობრიო ჰუმანურ იდეას. ამასთან, ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული, რომ სუბიექტთა ერთი ნაწილის მიერ უცხოური დახმარების მიღება „უცხოური ძალის ინტერესის გატარებად" ჩაითვალოს, ხოლო მეორე ნაწილის მიერ ანალოგიური დახმარების მიღება კი - არა.

„უცხოური გავლენა" მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, როდესაც სახეზეა შინაარსობრივი კრიტერიუმები - შესაბამისი მხარდაჭერის მიმღები სუბიექტი უნდა მოქმედებდეს დამფინანსებლის მიერ დასახული ამოცანების მისაღწევად, მისი დავალებითა და მითითებებით, ანგარიშვალდებული უნდა იყოს მის წინაშე ამ დავალებებისა და მითითებების სათანადო შესრულებისათვის და ექვემდებარებოდეს კონტროლს დამფინანსებლის მხრიდან. გარდა ამისა, „უცხოური გავლენა" უნდა იყოს მიმართული სახელისუფლებო გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენისაკენ.[74] სადავო ნორმა და მთლიანობაში, კანონი არ ითვალისწინებს მსგავს კრიტერიუმებს „უცხოური გავლენის" იდენტიფიცირებისათვის და მით უმეტეს, კონკრეტულ შემთხვევის ამ კრიტერიუმების მიხედვით შეფასების მექანიზმს.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ „უცხოური გავლენის" არსებობას დადასტურებულად ჩავთვლით მხოლოდ რაოდენობრივ კრიტერიუმზე დაყრდნობით, მისი **„გამჭვირვალობის უზრუნველყოფა"** მაინც ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურ მიზნად. კანონის ტექსტიდან გამომდინარე, „გამჭვირვალობის უზრუნველყოფა" გულისხმობს სახელმწიფოს ხელმისაწვდომობას პერსონალურ და საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე, ასევე საჯარო ხელმისაწვდომობას ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციაზე, რომელიც დაკავშირებულია ფინანსებთან და სხვა პირად საკითხებთან. პირველი შემთხვევა ჩარევაა ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების იმ ასპექტში, რომელიც დაცულია კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით - პირადი ცხოვრების უფლებით, ხოლო მეორე შემთხვევა კი - ჩარევა იმ კომპონენტში, რომელსაც იცავს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი. აქედან გამომდინარე, „გამჭვირვალობის უზრუნველყოფა" არის ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვა, რომელიც შეიძლება იყოს მიზნის მიღწევის საშუალება და არა მიზანი. ძირითად უფლებაში, მათ შორის ზოგად პიროვნულ უფლებაში, ჩარევის ლეგიტიმური მიზანი ვერ იქნება სხვა ძირითადი უფლების შეზღუდვა. აღსანიშნავია, რომ სადავო ნორმის ადრესატებთან მიმართებაში „გამჭვირვალობის უზრუნველყოფას" ვენეციის კომისიისა და ეუთო-ოდირის დასკვნაც მიიჩნევს არა დამოუკიდებელ ლეგიტიმურ მიზნად, არამედ გარკვეულ შემთხვევებში, სხვა ლეგიტიმური მიზნის ან მიზნების მიღწევის საშუალებად.[75]

კანონში ფორმალურად მითითებული მიზანი არ არის ლოგიკურ კავშირში კანონის ადრესატთა ზოგადი პიროვნული უფლებისა და სოციალური იდენტობის შეზღუდვასთან. ის, თავისი არსით,

[74] შეადარე: ეუთო-ოდირის დასკვნა, პუნქტი 25.

[75] დაწვრილებით იხ.: ვენეციის კომისიის დასკვნა, პუნქტები 59-62; ეუთო-ოდირის დასკვნა, პუნქტები 28-30.

წარმოადგენს ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევას, მიზნის მიღწევის საშუალებას და არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურ მიზნად. სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია, რადგანაც ლეგიტიმური მიზნის გარეშე, თანაზომიერების პრინციპის დარღვევით, თვითნებურად ზღუდავს მოსარჩელეთა კონსტიტუციის მე-12 მუხლით გარანტირებულ უფლებას.

## 6. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებასთან

### დაცული სფერო

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მეორე წინადადება ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპს - „კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“ ეს პრინციპი ვრცელდება არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი, არამედ სხვა სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობის (მათ შორის, ადმინისტრაციულსამართლებრივი პასუხისმგებლობის) დამდგენ ამ დამამძიმებელ კანონებზეც.[76]

31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მეორე წინადადება აბსოლუტურად კრძალავს ნამდვილ უკუძალას.[77] საკონსტიტუციო სასამართლო ნამდვილ უკუძალას ხედავს იმ შემთხვევაში, როდესაც ნორმა ცვლის იმ ქმედებების, მოვლენებისა თუ ურთიერთობების სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც წარსულში განხორციელდა და დასრულდა.[78] ნამდვილი უკუძალით პასუხისმგებლობის დადგენა ან დამძიმება არა მარტო უკუძალის აკრძალვის, არამედ სამართლებრივი უსაფრთხოებისა და ნდობის დაცვის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ პრინციპებსაც ეწინააღმდეგება.[79]

---

[76] მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის N3/1/633, 634 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-31; საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15; BVerfGE 26, 186 (203 f.) – Ehrengerichte; BVerfGE 87, 399 (411) – Versammlungsauflösung.

[77] მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

[78] დაწვრილებით იხილე მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 სექტემბრის N1/5/552 საოქმო ჩანაწერი საქმეზე სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

[79] მაგ.: Mager, Staatsrecht I, 357; Robbers, GG, Art. 20, Rn. 2382.

უკუძალის აკრძალვის პრინციპთან მიმართებით ხდება არა მხოლოდ იმ კანონების შეფასება, რომლებიც უშუალოდ ადგენენ ან ამძიმებენ სამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ იმ ნორმებისაც, რომელთაც არაპირდაპირ აქვთ პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი ეფექტი.[80] მაგალითად, N1/2/552 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ უკუძალის აკრძალვის პრინციპთან მიმართებით შეაფასა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (დოკუმენტის ნომერი: 6211-რს, 15/05/2012) მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობა, რომელიც ზარალის გადატანის ვადის 10-წლიანი ვადის მოქმედებას ავრცელებდა 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. სასამართლომ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად ზრდიდა სადავო ნორმა უკუძალით საგადასახადო ტვირთს, ანუ წარმოშობდა სამართლებრივ ვალდებულებას, რომელიც მანამდე არ არსებობდა და რომლის შეუსრულებლობა შესაძლოა გამოხატულიყო ამა თუ იმ სახის პასუხისმგებლობაში. საბოლოოდ, მან არ დაადგინა უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევა, რადგანაც სადავო ნორმა მოსარჩელეს დამატებით საგადასახადო ტვირთს არ უდგენდა და არც მასზე რამე ფორმით პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდებოდა.[81]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შემოწმდეს, რამდენად ცვლის სადავო ნორმები იმ ურთიერთობათა სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც დასრულდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე (2024 წლის 3 ივნისამდე) და ხომ არ აკისრებს მოსარჩელეებს კანონის ძალაში შესვლამდე დასრულებული ურთიერთობების საფუძველზე რაიმე ახალ სამართლებრივ ვალდებულებას, რომლის შეუსრულებლობაც გამოიწვევს სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

როგორც აღვნიშნეთ, ნამდვილი უკუძალით პასუხისმგებლობის დადგენა ან დამძიმება ნდობის დაცვის პრინციპსაც ხელყოფს, ამიტომ სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებისას კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მეორე წინადადებასთან მიმართებით, მსჯელობა ასევე უნდა წარიმართოს ამ პრინციპის დარღვევაზეც, ერთიან კონტექსტში. უნდა გაირკვეს, რამდენად ჰქონდათ მოსარჩელეებს 2024 წლის 3 ივნისამდე დასრულებულ ურთიერთობებზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების გაუვრცელებლობის ლეგიტიმური მოლოდინი[82] და ხომ არ განხორციელებულა სახელმწიფოს

[80] დაწვრილებით იხილე მაგ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428, 447, 459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II- 23-24; 31-33.

[81] დაწვრილებით იხ.: საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის N1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1-33.

[82] შეადარე მაგ: საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის N2/3/522, 553 გადაწყვეტილება საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 42, 43, 44, 65; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 33.

წარმომადგენელთა მხრიდან, ამ კუთხით, სამართლებრივი მდგომარეობის სტაბილურობის დადასტურება ან მკაფიო დაპირება.[83]

**დარღვევის შემოწმება**

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი კანონის ადრესატებს აკისრებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად დარეგისტრირებისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის ვალდებულებას, თუ ისინი აკმაყოფილებენ ამგვარი ორგანიზაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს 2023 წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით. ეს ვალდებულება ამოქმედდება, თუ კალენდარული 2023 წლის განმავლობაში სუბიექტის მიერ მიღებული მთლიანი/მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო „უცხოური ძალა“ არის. წერილობითი განცხადების წარდგენას თან ახლავს სხვა ვალდებულებები, რაც უკავშირდება რეგისტრაციას, მონიტორინგსა და ინფორმაციის წარდგენას. აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის კანონის მე-9 მუხლის პირველი-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმების სახით.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, ერთი შეხედვით, სამომავლო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისკენაა მიმართული, მაგრამ მისი მოქმედება ვრცელდება ასევე 2024 წლის 1 იანვრიდან 3 ივნისამდე (კანონის ამოქმედებამდე) პერიოდში კანონის ადრესატების მიერ უცხოური წყაროებიდან მიღებულ შემოსავალზე. მათ 2025 წლის იანვარში, 2024 სრული კალენდარული წლის მონაცემების მიხედვით, წარმოეშობათ უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების წარდგენისა და მასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები, რაზეც ზემოთ უკვე გავამახვილეთ ყურადღება. ცხადია, ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობაც კანონის მე-9 მუხლის პირველი-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ სანქციებს გამოიწვევს.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლამდე უცხოური წყაროებიდან მთლიანი/მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის მიღების ფაქტი კანონის ადრესატებისათვის არ წარმოშობდა ზემოაღნიშნულ სამართლებრივ შედეგებსა და მათთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. 2023 კალენდარული წლისა და 2024 კალენდარულ წლის 1 იანვრიდან 3 ივნისამდე პერიოდში მათ მიერ უცხოური წყაროებიდან მიღებული დაფინანსება დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, რომლის შედეგებსაც რეტროაქტიურად ცვლის სადავო ნორმები, უკავშირებს რა ამ ურთიერთობას ახალ სამართლებრივ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას მათი შეუსრულებლობისათვის.

სადავო ნორმათა არაკონსტიტუციურობა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება, თუ საკითხს შევხედავთ ნდობის დაცვის კონსტიტუციური პრინციპის კუთხით. 2023 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით მხარი არ დაუჭირა ანალოგიური შინაარსის

[83] შეადარე მაგ.: Aubert, Willkürverbot und Vertrauensschutz, 723 (741 f.).

კანონპროექტს, რასაც მოჰყვა მაღალი რანგის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა მკაფიო და ცალსახა საჯარო განცხადებები, რომლებიც გამორიცხავდნენ კანონპროექტის განმეორებით ინიცირებას. ამან კანონპროექტის პოტენციურ ადრესატებში გააჩინა ლეგიტიმური და საფუძვლიანი მოლოდინი, რომ უცხოური წყაროებიდან დაფინანსების მიღება არ იქნებოდა დაკავშირებული მათთვის რაიმე სტატუსის მინიჭებასთან და სანქციების მუქარით, ახალი ვალდებულებების დაკისრებასთან. ამ ფონზე, საზოგადოებასთან არათუ წინასწარი კონსულტაციების, არამედ მისი უბრალო ინფორმირების გარეშე განხორციელდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ინიცირება და შემდგომში, მიღება, რომელიც (მისივე ინიციატორების აღიარებით) ფორმალურად მხოლოდ ტერმინოლოგიური დეტალებით განსხვავდებოდა მისგან, ხოლო შინაარსობრივად და არსით კი - არაფრით. რაც მთავარია, ამ კანონის მოქმედება გავრცელდა იმ პერიოდზე, როდესაც სადავო კანონებს ადრესატებს ჰქონდათ ლეგიტიმური ნდობა არსებული სამართლებრივი მდგომარეობის სტაბილურობისადმი.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი, ნდობის დაცვის კონსტიტუციური პრინციპის ხელყოფით, ნამდვილი უკუძალით ცვლის კანონის ძალაში შესვლამდე დასრულებული ურთიერთობების სამართლებრივ შედეგებს, სადავო კანონის ადრესატებზე ავრცელებს ახალ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას ამ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტს.

## III
## შუამდგომლობები *შენიშვნა* [84]

### 1. შუამდგომლობა მოწმის, ექსპერტის ან/და სპეციალისტის მოწვევის თაობაზე

---

### 2. შუამდგომლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების თაობაზე

გთხოვთ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროთ სადავო კანონის მოქმედება.

მოქმედი წესის თანახმად, ნორმის მოქმედების შეჩერება შესაძლებელია, თუ მის მოქმედებას შეუძლია გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის N1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-2). ამასთან, „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ნორმის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს ნორმის შეჩერებით გამოწვეული სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეც.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის N1/3/509 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე სოფიო ებრალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, II-9).

სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების არსებული სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მექანიზმი იცავს მოსარჩელეს უფლების აუცდენელი და შეუქცევადი დარღვევისაგან და ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ეფექტიანობას. „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და არსებობს საფრთხე, რომ პირის უფლებაში აღდგენა არ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ“. ამიტომ „კანონმდებლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას ითვალისწინებს ... იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედება გამოიწვევს მხარისათვის გამოუსწორებელ შედეგებს. შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი მიმართულია იმ აუცდენელი და შეუქცევადი საფრთხეების პრევენციისკენ, რომელიც შეიძლება მოჰყვეს სადავო აქტის მოქმედებას და რომლის გამოსწორება შესაძლებელია ვერ მოხერხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგაც“

---

[84] საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა მოსარჩელეს ანიჭებს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სხვადასხვა ტიპის შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობას. წარმოდგენილ ველში შეგიძლიათ დააყენოთ შესაბამისი შუამდგომლობები. შუამდგომლობის წარმოდგენის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითეთ მისი საფუძვლიანობის დამადასტურებელი არგუმენტები, ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/2/577 საქმეზე *ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)" და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 31-35.).

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო ნორმის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს ნორმის შეჩერებით გამოწვეული სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეც. პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს სადავო აქტის მოქმედების შეჩერების ღონისძიებას, „მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარისათვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხე აშკარაა და არ არსებობს მესამე პირებისა და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელი შეზღუდვის რისკები". (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის საოქმო ჩანაწერი N3/4/768,769 საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 36.)

სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების გადაწყვეტილების მისაღებად უნდა არსებობდეს შემდეგი გარემოებები:

1. მხარისათვის („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის „მხარედ" შეიძლება ჩაითვალონ არა მხოლოდ პირები, რომლებიც დავობენ საკუთარი ფუნდამენტური უფლებების დასაცავად, არამედ ასევე სხვა კომპეტენციის ფარგლებში მოდავე სახელმწიფო ორგანოები/თანამდებობის პირები (საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, სახალხო დამცველი) გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საფრთხე, რომლის აღმოფხვრა ვერ მოხდება სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში;
2. აღნიშნული საფრთხე რეალური, გარდაუვალი, კონკრეტული და არა აბსტრაქტული/ჰიპოთეტური ხასიათის მატარებელია;
3. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას შეუძლია, უზრუნველყოს მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგის თავიდან აცილება, მისი პრევენცია;
4. ნორმის მოქმედების შეჩერება არ გამოიწვევს მესამე პირების ან/და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელ შეზღუდვას.

კონკრეტულ შემთხვევაში ცალსახად დგინდება, საკანონმდებლო აქტის ,,უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" სრული ტექსტი იწვევს არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებისადმი და ძირითადი უფლებების სუბიექტებისადმი ან თუნდაც ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ზიანს, არამედ აფერხებს ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესს და იწვევს შეუქცევად ზიანს, რაც დასტურდება, მათ შორის (დაწვრილებით იხ. სარჩელში მითითებული არგუმენტაცია), იმ პოზიციებითა და განცხადებებით, რომლებიც მრავლად იქნა გაჟღერებული ევროკავშირის სტრუქტურებისა და წარმომადგენლების მხრიდან, ასევე ევროკავშირის წევრი ცალკეული სახელმწიფოების და ამავდროულად, საქართველოში ევროკავშირის ელჩის მხრიდან, რასაც უკვე მოჰყვა კონკრეტული სამართლებრივი შედეგი, რომელიც გამოიხატა იმ საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან სამხედრო პარტნიორობის და ზოგადად პარტნიორობის გადახედვა (ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული განცხადებით, მრავალეროვნული სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2024"-ის გაურკვეველი დროით

გადაიდო.)[85], რაც ზიანს იწვევს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანების თვალსაზრისით. საქართველოში ევროკავშირის ელჩის განცხადებით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულია, კერძოდ ელჩმა განაცხადა, რომ 2024 წლის 27 ივნისს, ევროკავშირის ლიდერებმა, ევროკავშირის ქვეყნების პრეზიდენტებმა და პრემიერ-მინისტრებმა ბრიუსელში მიიღეს რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მათ შეათანხმეს ევროკავშირის მომავალი სტრატეგიული დღის წესრიგი. მათ შორის შეთანხმდნენ, რომ შეაჩერონ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი. ეს ნათლად არის ნათქვამი ევროპული საბჭოს დასკვნებში.[86] ამასთან, ევროპული საბჭო გამოხატავს სერიოზულ შეშფოთებას საქართველოში მიმდინარე ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო. კერძოდ, კანონი, რომელიც მიღებულია უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, წარმოადგენს უკუსვლას კანდიდატის სტატუსის შესახებ კომისიის რეკომენდაციით განსაზღვრულ ნაბიჯებზე. ევროპული საბჭო მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, განმარტოს მისი განზრახვები და შეცვალოს მიმდინარე მოქმედებების კურსი, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროინტეგრაციის გზას, რეალურად აჩერებს მისი გაწევრიანების პროცესს.[87] ასევე საყურადღებოა, რომ ევროკავშირმა საქართველოს თავდაცვის გასაძლიერებლად გამოყოფილი 30 მილიონი ევროს ოდენობის დახმარება შეუჩერა. ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ ასევე განაცხადა, რომ „ეს არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი, იქნება სხვა ნაბიჯებიც.“[88] აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ კანონის მიერ გამოწვეულია შეუქცევადი პროცესი, რომელიც იწვევს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შეფერხებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზიანი უკვე რეალურია და არა ჰიპოთეტური. ამასთან, აღნიშნული ზიანი განგრძობადი ხასიათისაა და ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სახელმწიფოებრივი მიზნისა და ამოცანის შესრულების პროცესს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სადავო კანონის მოქმედებით გამოუსწორებელი ზიანი ადგება საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციას, რაც გამოიხატება ევროკავშირში ინტეგრაციის შემდგომი ეტაპის შეფერხებაში, რაც საბოლოოდ შეიძლება გახდეს იმის საფუძველიც, რომ რეალურად სახელმწიფომ დაკარგოს ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში ინტეგრაციის რეალური შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ სარჩელში მოყვანილი არგუმენტაციის თანახმად, ირღვევა სადავო კანონით განსაზღვრულ სუბიექტთა კონსტიტუციით გათვალისწინებული მთელი რიგი უფლებები, რომელთა გამოსწორებაც კანონის რეალური მოქმედების პირობებში შეუძლებელი გახდება.

სადავო კანონის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში, არ იმოქმედებს კანონის ტექსტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს კანონის ადრესატთა უფლებრივ მდგომარეობაზე, რაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღმოფხვრის გამოუსწორებელ შედეგს.

ევროპული საბჭო მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, რომ ამ შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნები იყოს თავისუფალი და სამართლიანი და წაახალისოს პარტნიორების მიერ

---

85 < https://www.defense.gov/News/Releases/Release/Article/3827839/postponement-of-exercise-noble-partner-announcement/ >;
86 < https://1tv.ge/news/pavel-herchinski-saqartvelos-evrokavshirshi-gawevrianebis-procesi-shecherebulia-vimedovneb-archevnebis-shemdeg-akhlad-sheqmnili-mtavroba-daiwyebs-seriozul-mushaobas-integraciis-mimartulebit/ >;
87 < https://www.consilium.europa.eu/media/qa3lblga/euco-conclusions-27062024-en.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR3ctMcnOGizcXWdEgb4Eg2Kv_-cw0bT-ptuNJAEf1T3A6mIhEQw0Y0SJ7k_aem_V2-RYOCzqWjMTJGw7CzgTQ >;
88 < https://www.radiotavisupleba.ge/a/33027609.html >

არჩევნებზე მნიშვნელოვანი გრძელვადიანი და მოკლევადიანი დაკვირვება.[89] ამ თვალსაზრისით, არსებით მნიშვნელობას იძენს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციების კონსტიტუციით გარანტირებული საქმიანობის შეუფერხებელი უზრუნველყოფა. ამ კანონის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში შეძლებენ ზემოაღნიშნული ორგანიზაციები, თავისუფლად დააკვირდნენ არჩევნებს და გააშუქონ საარჩევნო პროცესი.

ამასთან, კანონის მოქმედების შეჩერებით არ იმოქმედებს კანონი, რომელიც ევროინტეგრაციისათვის ქმნის საზიანო განგრძობით პროცესს. აღნიშნული იქნება ახალი იმპულსი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის განახლებისთვის, როგორც კონსტიტუციის 78-ე მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი კონსტიტუციური ინსტიტუტის სამართლებრივი რეაგირება და კონსტიტუციის 78-ე მუხლის სულისკვეთების რეალიზება.

გარდა ამისა, სადავო საკანონმდებლო აქტის შეჩერებით არავის არ ადგება უშუალო ზიანი. სადავო კანონის მოქმედების შეჩერება  მესამე პირთა მიმართ  არ იწვევს რაიმე შემზღუდავ სამართლებრივ შედეგებს, რადგან კანონის მიზანს არ წარმოადგენს მესამე პირთა რაიმე უფლებით აღჭურვა. აგრეთვე როგორც სარჩელში არაერთხელ იქნა აღნიშნული კანონი არ შეიცავს ლეგიტიმურ საჯარო მიზნებს.  შესაბამისად ვერ იარსებებს რაიმე ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესი, რომელსაც არსებითი ზიანი შეიძლება მიადგეს სადავო კანონის შეჩერებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სადავო კანონი გამოქვეყნდა 2024 წლის 3 ივნისს, რომლითაც განისაზღვრა, რომ სადავო კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები ამოქმედდება კანონის გამოქვეყნებიდან 60 დღეში, ხოლო უცხოური გავლენის გამტარებელი ორგანიზაციების სავალდებულო რეგისტრაცია რეალურად ქმედითი გახდება სადავო კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რის შემდგომაც კანონი შეიძენს რეალურ რეპრესიულ მიზანს და წარმოშობს არსებით ზიანს. ამდენად, არსებითად მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელოს და სადავო კანონის მოქმედება შეაჩეროს კანონის მსუსხავი ეფექტის დაწყებამდე.

შესაბამისად, სადავო კანონის მოქმედება უნდა შეჩერდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც შესაძლებელს გახდის იმ ზიანის თავიდან აცილებას, რომელიც დაკავშირებული იქნება ამ კანონის მოქმედებასთან. ამავდროულად სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, კანონის შეუჩერებლობის პირობებში, შეუძლებელი იქნება კანონის მოქმედების პირობებში დამდგარი ზიანის თავიდან აცილება. იმდენად რამდენადაც ევროკავშირში ინტეგრაცია ევროკავშირის გაცხადებული პოზიციით არის დროში განსაზღვრული და უკავშირდება კონკრეტულ დროს, ხოლო აღნიშნულის შემდგომ პერიოდში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება შეიძლება გადავადდეს საკმაოდ ხანგრძლივად ათწლეულების ან მეტი ხნის განმავლობაში ან საერთოდ შეუძლებელი გახდეს საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური მიზნის მიღწევა.

---

89 < https://www.consilium.europa.eu/media/qa3lblga/euco-conclusions-27062024-en.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR3ctMcnOGizcXWdEgb4Eg2Kv_-cw0bT-ptuNJAEf1T3A6mIhEQw0Y0SJ7k_aem_V2-RYOCzqWjMTJGw7CzgTQ >;

3. სხვა შუამდგომლობები

## IV
## თანდართული დოკუმენტები

### 1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სავალდებულო დანართები

| | |
|---|---|
| სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი | ☒ |
| ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი | ☒ |
| წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი | ☒ |
| კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია | ☒ |

### 2. სხვა დანართები *შენიშვნა*[90]

1.

---

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $27^3$ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად გამოიყენონ თავიანთი უფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოსათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

| ხელმოწერის ავტორი/ავტორები შენიშვნა91 | თარიღი | ხელმოწერა |
|---|---|---|
| 1. საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი | 1. 15/07/2024 | 1. |

[90] გთხოვთ მიუთითოთ დანართის ნომერი, თანდართული დოკუმენტის დასახელება და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (არსებობის შემთხვევაში).

[91] კანონმდებლობით შეიძლება მოთხოვნილი იყოს მოსარჩელეთა ხელმოწერის დამოწმება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $27^3$ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.